

ლევ. მარუაშვილი

დასავლეთ  
კავშირის  
მთებში



საგაფომო და ახალგაზრდობის სემიარი

19 ს ა ს ე ლ ბ ა მ ი 34



ლევან მარუაშვილი

# დასავლეთ კავშირის მთებში

21409

თავმჯდომარის კომპლექსური  
დასავლეთის მონაწილის  
მთავრების მთებში



ს ა ს ე ლ გ ა ვ ი

საბავშვო და ასაწვავარდობის სემპტორი

1 9

ტფილისი

3 4

---

რედაქტორი	— ან. ლენიაშვილი	შთაქლიტი № — ა-1212
ტექნიკური რედაქტორი	— ალ. ტოროტაძე	შეკვეთა № 3244
კორექტორი	— გ. იამანიძე	ტირაჟი — 3000

---

## წინასიტყვაობა.

ცენტრალური აზიის შესახებ ქართულ ლიტერატურაში თარგმნილ შრომებშიც კი უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება, ხოლო ორიგინალურ ნაშრომებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამავე დროს შუა აზია, განსაკუთრებით კი დასავლეთი თურქესტანი, ქართველი მკვლევლისათვის საყურადღებოა არა როგორც დედამიწის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის მაჰმადიანური რესპუბლიკების კრებული (თაჯიკისტანი, თურქმენისტანი, უზბეკისტანი).

ეს წიგნი წარმოადგენს მკითხველისათვის საბჭოთა შუა აზიის შესახებ მკირეოდენი ცნობების მიწოდების ცდას. ყურადღების ცენტრში აქ მოქცეულია მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი და დარვაზი (ყოფ. მთიან ბუხარაში). საერთო გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად მოცემულია სამეცნიერო ექსპედიციის პამირზე მუშაობის სურათები.

იმედი გვაქვს, რომ ეს პატარა წიგნი დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს შუა აზიის გაცნობაში. თუ მან შეძლო მკითხველებში ინტერესის გაღვივება ამ თავისებური ქვეყნისადმი, თუ მკითხველებს აღეძრათ შუა აზიასთან უფრო დაახლოვებული გაცნობის სურვილი, — ჩვენი მიზანი მაშინ მიღწეული იქნება. ჩემ თავს მოვალედ ვთვლი ამხანაგური მადლობა გამოვუცხადო იმ პირებს, რომელთა მეოხებით მოხერხდა ჩემი მოგზაურობა და გეოგრაფიული მასალების შეგროვება. ესენი არიან: ამხ. ამხ. არჩ. დარაზველიძე, პროფ. დ. ი. შჩერბაკოვი, ი. გ. დვორჯევი, სტახ განეცკი, მამაჯან რუზი-ახუნი (ქ. ომის მცხოვრები) და აზიზ მამედოვი (ქ. ხოროლის მცხოვრები).

## საბჭოთა პამირი.

ცენტრალური აზიის უზარმაზარი მთიანი ქვეყნის დასავლეთ მცირე ნაწილს პამირი ეწოდება.

ამ სიტყვის მნიშვნელობა საბოლოოდ არაა გამორკვეული, თუმცა ზოგიერთების განმარტებით ის წარმოდგა სანსკრიტული სიტყვიდან „პაი მურ“ ე. ი. „სიკვდილის ქვედა“. ასეთი განმარტება ექვემს იწვევს. მას აგრეთვე უწოდებენ „ქვეყნიერების ბანს“ (Крыша мира).

ჩრდილოეთით და დასავლეთით პამირის მაღლობს აკრავს უზბეკისტანისა და ბუხარის დაბლობი, რომელსაც რწყავს ორი დიდი მდინარე: ამუ-დარია და სირ-დარია.

აღმოსავლეთით პამირი უერთდება ცენტრალური აზიის გაშლილ ვაკეებს; ყაშლარს და თაკლა-მაქანის უდაბნოს.

სამხრეთით პამირს საზღვრავენ ჰინდუ-კუს და ყარა-ყორუმის მთა-გრებილები.

პამირის გეოგრაფიული სივრცე ასამ სახელმწიფოში შედის: საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და ავღანისტანში.

ავღანისტანის პამირი უშუალო მეზობელია ბრიტანული ინდოეთის ჩრდილო პროვინციისა, რომელსაც „ყაშმირი“ ეწოდება.

მთელი პამირი შეიძლება საერთო დაქანების მიხედვით სამ არედ დაიყოს:

ყარა-ყულის და რანდ-ყულის მხარეები მოკლებული არიან წყლის გასავალს და დახურულ აუზებს წარმოადგენენ.

ყაშლარი და ირკეშტამის რაიონი აძლევენ სათავეს მდინარე თარიმს, რომელიც ერთვის ცნობილ ლობ-ნორის ტბას.

პამირის დანარჩენი და უფრო მეტი სივრცე მდინარე ამურ-დარიისა და მის შენაკადთა აუზშია მოქცეული.

შემცდარია ის აზრი, თითქოს პამირი იყოს დიდ სიმაღლეზე მდებარე სავსებით ვაკე ქვეყანა. შემცდარია იმიტომ, რომ პამირის მთელი სივრცე ღრმა ხეობებით და მაღალი მთაგრებილებითაა დასერილი.

ეს მთაგრებილებია: ალაი, ტრანს-ალაი, პეტრე დიდის ქედი, დარვაზი, დასავლეთის ქედი, რუშანი, შუღნანი, მუს-თავი და სხვ.

დასავლეთის ქედის გარდა ყველა ხსენებული ქედი დალაგებულია ურთიერთ შორის პარალელურად: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

მათ შორის მოქცეულია ყიზილ-სუს, მუქ-სუს, ბინგოუს, ობ-რ-ვანჩის, იაზგულოზის, ყუდარას და ბართანგის ხეობები.

პამირის მწიბრი და მცენარეულობით მეტად ლარიბი სივრცე საკმაოდ დიდ ფარობზეა მარადი თოვლის მინდვრებით და ყინვარებით დაფარული.

თოვლ-ყინულის საფარველი 40-60 კილომეტრის სიგანის მქონე ზოლებად მიჰყვება ტრანს-ალაის, პეტრე I-ის, დარვაზის და სხ. ქედებს. ლარმოს რაიონში მარადთოვლიანი არეს გადამკვეთი უმოკლესი ხაზი სივრცით დაახლოვებით 80 კილომეტრს ეთანასწორება.

საბჭოთა პამირზე მდებარეობს ე. წ. „ალბიური, ანუ მთის ტიპის“ უდიდესი ყინვარები, როგორცაა, მაგალითად, ფედჩენკოს ყინვარი, რომლის სიგრძე 77 კილომეტრს უდრის და რომელიც ამ ტიპის ყინვართა შორის, ჯერჯერობით, დედამიწაზე უდიდეს ალბიურ ყინვარად ითვლება.

სხვა დიდი ყინვარებიდან აღსანიშნავია: დიდი საუყ-დარა (სიგრძე— 45 კმ.), ლარმო (40 კმ.), ფორთამ-ბეკი (35 კმ.), ნოტემეინშაფტე (35 კმ.) და სხვა.

ყინვარები კვებავს იქაურ მდინარეებს, რომლებიც დიდი სისწრაფით მიედინებიან. მიმოსვლისათვის მეტად მოუხერხებელია აქაური ღრმა ხეობები.

საბჭოთა პამირის აღმოსავლეთი ნაწილი მდიდარია ტბებითაც. უდიდესი მათ შორის, მლაშე ტბა, ყარა-ყული, სივრცით დაახლოვებით 60 კვ. კილომეტრს შეიცავს. ყარა-ყულში ჩადის რამდენიმე მდინარე. სხვა დიდ ტბებს შორის უნდა ჩამოვთვალოთ: რანდ-ყული, სასიყ-ყული, ზორ-ყული, იაშილ-ყული და, ბოლოს, განთქმული სარეზის ტბა.

სარეზის ტბა 1911 წელს გაჩნდა მიწისძვრისაგან უზარმაზარი კლდე ჩამოინგრა და შეაგუბა მდ. ბართანგი, რომელმაც გაანადგურა ორი თაჯიკური ყიშლადი (სოფელი). გაჩნდა გრძელი და ვიწრო ტბა, გაქიპული 25 კილომეტრის მანძილზე. მოსალოდნელია, რომ ოდესმე ტბის წყლის წნევა გაანგრძეს „ბუნებრივ კაშხალს“, რასაც შედეგად მოჰყვება მრავალი სოფლის წალეკვა მდ. ფანჯის და ამურ-დარიას ნაპირებზე.

მცენარეულობის მხრივ პამირი, როგორც უკვე ითქვა, ლარიბია. ტყე აქ თითქმის სრულიად არ მოიპოვება. აღმოსავლეთ პამირზე მხოლოდ გაზაფხულობით იზრდება დაბალი ბალახი, რომელიც ივლისში სიციხისაგან ჭკნება. დასავლეთ პამირზე და ალაის ქვეყანაში გავრცელებულია დაბალი, წიწვიანი ხე— „არჩა“, ის ჩვენებურ ღვიას ემსგავსება.

მიუხედავად მცენარეულობის სიღარიბისა, მეტად მდიდარია პამირის ცხოველთა სამეფო.

დამახასიათებელია:

არხარი, ანუ მთის ცხვარი, უზარმაზარი დაკლაკნილი რქებით. ერთი წყვილი რქა ხშირად ერთ ფუთს იწონის. თვით ცხოველის წონა მ. ფუთამდის აღწევს. არხარები ჯოგებად ცხოვრობენ აღმოსავლეთ პამირის ვაკეებზე.

ჩვენებურ ჯიხვს ემსგავსება ქიიკი, ანუ მთის თხა, რომელიც დიდი რაოდენობით ბინადრობს შუა აზიის ყველა კლდოვან მიდამოში.



ხლუჩი (რუსულად сырок) მღრღნელთა რჯახს ეკუთნის და ცხობ-ვრობს მიწაში გათხრილ სოროებში.

მოიპოვება აგრეთვე: ჯიქი (მთის ლეოპარდი), დათვი, მელა, კლდის კვერნა, ფოცხვერი...

ფრინველებიდან არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ: მთის ინდოური („ულარ“, ე. ი. შურთხი), ინდოეთის ბატი, რომელიც ეწვევა ხოლმე რანდ-ყულის ტბას ზაფხულობით; ჩინური მოწითალო იხვი, შევარდენი და სვავი. არის აგრეთვე რამდენიმე ჯიშის არწივიც.

ადმინისტრაციულად საბჭოთა პამირი ორ ერთეულში შედის: წინა პამირი, ანუ ალაი, ეკუთნის ყირღიზეთის ავტონომიურ ოლქს (რ.ს.ფ.ს.რ.), რომლის ცენტრია ქ. ფრუნზე; რაც შეეხება ნამდვილ პამირს, ის შეადგენს „მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქს“ (საოლქო ცენტრი სოფ. ხორ-ოლი), რომელიც შედის თაჯიკისტანის სოციალისტურ საბჭოთა რეს-პუბლიკაში. თაჯიკისტანის დედაქალაქია სტალინაბადი (ყოფ. დიუშამბე).

### პამირის მოსახლეობა.

საბჭოთა პამირის ხსენებული ადმინისტრაციული დაყოფა სავსებით შეესაბამება იმ ორ ეთნოგრაფიულ პროვინციას, რომლებსაც ანაღვანეც შედგება საბჭოთა პამირი.

ალაი და მუქ-სუს ხეობა დასახლებულია ყირღიზებით, ხოლო შიგ-ნითა პამირის და დარვაზის მოსახლეობას თაჯიკები შეადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი ეროვნება საერთო თვისებებს თითქმის მოკლებულია. მათი წარმოება, ენა, კულტურა, საქმიანობა და ყოფა-ცხოვ-რება სრულიად სხვადასხვაა.

ყირღიზები მონღოლურ რასას ეკუთნიან და მონღოლებსავე მომთა-ბარე ცხოვრებას ეწევიან, თუმცა უკანასკნელი ათეული წლების გან-მავლობაში ხელი მოჰკიდეს მიწათმოქმედებას და მუდმივი ყიშლალეზი (სოფლები) გაიჩინეს.

ზაფხულს ყირღიზები მთაში ატარებენ, ალაის ველზე, ტრანსალაისა და პეტრე I-ის ქედის ფერდობებზე, აღმოსავლეთ პამირის ტბებთან. ეს მოვლენა იმითაა გამოწვეული, რომ ყირღიზთა მეურნეობაში მესაქონლე-ობას აქვს ყველა სხვა დარგზე მეტი ზედრითი წონა. ცხვრისა და ძრო-ხების გარდა, ისინი აშენებენ აგრეთვე კუტასებს (იაკებს), ცხენებს, აქლე-მებს...

ყირღიზის მეურნეობის განუყრელ კუთვნილებას წარმოადგენს მო-ძრავი კარავისებრი ქოხი, — იურტა, რომელიც მოყვანილობით დაპირ-ქვავებულ ჯამს წააგავს, წრისებრ მოხრილ ხის ჩარჩოზე გარედან შემო-კრულია ქეჩა. ქერში რჩება წრისებრი გასავალი კვამლისთვის. მთელი იურტა საჭიროების დროს იკეცება და ერთ აქლემზე თავსდება.

ივნისში, ალაის ქედის უღელტეხილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოდის ყირღიზები მთელი ოჯახით და შინაური პირუტყვით. ყიშ-ლალეზში მხოლოდ მოხუცები-ლა რჩებიან. საზაფხულო სადგომს, სადაც



ყირლიზები ცხოვრობენ და მათი საქონელი იკვებება, „ჯაბილაუ“ ეწოდება. ეს იგივეა, რაც კავკასიელ მაჰმადიანთათვის „იაილა“ და ჩვენთვის „იალალი“.

ყირლიზების მთავარ საკვებს წარმოადგენს: პური, ხორცი და რძის პროდუქტები: კარაქი, ჰაირანი, კუმისი (ცხენის რძე). პრიმიტიულ ფურნეში აცხობენ ბრტყელ ხმადებს და ნოყიერ „კატლამას“, რომელიც ჩვენებურ ქადას ჰგავს.

საერთოდ ყირლიზები ცუდად იკვებებიან, განსაკუთრებით საგრძნობია იმათ საკვებ ნივთიერებებში ნახშირწყლების ნაკლებობა.

ყირლიზები მაჰმადიანები არიან, მაგრამ მათთვის უცნობია მაჰმადიანური ფანატიზმის ზოგიერთი უკიდურესობა, მაგ. ფარანჯას (ჩადრის) ტარება ქალების მიერ და ქალების უფლებრივი ჩამორჩენილობა.

ყირლიზი ქალი სავსებით თავისუფალია როგორც შინაურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ იგი გათანაბრებულია მამაკაცთან.

საგრძნობლად ღარიბია ყირლიზების წარსული ხალხური ზეპირსიტყვაობა. აქ ვერ იპოვით ფოლკლორის ისეთ მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, როგორსაც ვხვდებით მაგ. კავკასიაში.

სვენ გედინის თქმით, არსებობს ყირლიზული თქმულება მუს-თაგოთას (8250 მეტრი) მთის სიწმინდის შესახებ. თქმულება ამ დიად მთას ვეებერთელა „მაზარ“-ად, ე. ი. წმინდანის სამარედ თვის და მასვე უკავშირებს გადმოცემას ყირლიზებსა და ჩინელებს შორის ომზე.

ოდესღაც ყირლიზებს, მათივე გადმოცემით, ჰქონიათ მძლავრი და დამოუკიდებელი სამეფო „ალაი“, რომელსაც, თურმე, ქალი მართავდა.

საგვარეულო წყობა ნაწილობრივ დღემდის, შენახულა ყირლიზებს შორის, თუმცა ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ მკაფიოდ ჩანდა ეკონომიური უსწორმასწორობა და კლასობრივი ჩაგვრა (მოჯამაგირეთა ექსპლოატაცია ბაების მიერ).

საყურადღებოა ყირლიზებს შორის არსებული ჩვეულება, რომელიც, უეჭველია, საგვარეულო წყობილებასთანაა დაკავშირებული.

ლატაკი, მარტოხელი ყირლიზი ბაისგან (შეძლებულისაგან) ღებულობს სრულ საკუთრებად შინაური საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მწყალობელის სიკვდილის შემდეგ ამ უკანასკნელის მემკვიდრეებს უფლება აქვთ უკან დაიბრუნონ იგივე რაოდენობა საქონლისა.

წლის განმავლობაში ყირლიზები დროს გასატარებლად რამდენიმეჯერ მართავენ „თამაშობას“, ე. ი. სეირ-სანახობას. დღეობებს და ქელეხებს თან სდევს ორიგინალური სპორტი; თხის ატაცება, რასაც ყირლიზულად „ულაყ“ ეწოდება.

გაშლილ ვაკეზე თავს იყრის მრავალრიცხოვანი საზოგადოება („ჯამაათ“) და 20-30 მხედარს საუკეთესო ჯიშის კვიცებით.

ცხენოსანთა კრებულის შუაგულში მიწაზე დაადებენ თავფენმოჭრილ თხას, ან ჰაწია ხბოს. მხედრები ცდილობენ ხელით ჩასწვდნ თხას და აიტაცონ იგი უნაგირზე. ატყდება ჩოჩქოლი, ცხენების დატაკება და ბრძო-

ლა. ბრ ანემებენ ერთმანეთს თხის ათრევას, ცდილობენ მხარის გაკვირით ცხენიდან მეტოქის გადმოკლებას. ეს არეულობა საკმაო ხანს გრძელდება.

მაგრამ, ხედავთ, რომ ცხენოსანთა გუნდს გამოეყო ერთი მხედარ-თავანი უნაჭირზე გადადებული თხით და ცხენი გააქენა.

სტვენითა და ყოყინით ვაეკიდებიან დანარჩენი მხედრებიც. თამაშის განმავლობაში თხა რამდენიმეჯერ გადადის ხელიდან ხელში. ზოგჯერ მხედრები ძირს ვარდებიან და ცხენის ფეხებით ითელებიან, მაგრამ მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს.

გამარჯვებულად ის მხედარი ითვლება, რომელიც თხას გაიტაცებს და წინასწარ დანიშნულ ადგილთან მიიტანს.

ყირლიზების ენა თურქულ ენას ენათესავება. ამ ზოლო ხანებში შემოღებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ ლათინური ანბანი თურქულ ენაზე მოლაპარაკე ერებისათვის, მათ შორის, რა თქმა უნდა, ყირლიზებისათვისაც. ყირლიზულ ენაზე გამოდის გაზეთი (ფრუნზეს ქალაქში) და პოპულარული ლიტერატურა, დაარსებულია მრავალი სკოლა, სადაც სწავლა თურქულ ენაზე წარმოებს. კულტურული დონის ამ აღლებასთან ერთად წარმოებს აგრეთვე ყირლიზეთის სახალხო მეურნეობის განმტკიცება. ჩამოყალიბებულია კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი, უმჯობესდება საქონლის ჯიშები და ხმარებაში შემოდის მეურნეობის ახალი დარგები (მეკურდღლეობა, მეფუტკრეობა და სხვ.).

პამირის მკვიდრი მცხოვრებლები, თაჯიკები, როგორც ზემოთ ითქვა, არსებითად ყირლიზებისაგან განსხვავდებიან.

თაჯიკების ენა ძველ ფარსულ ენას ენათესავება. ეს ხალხი ბინადარ ცხოვრებას და მიწათმოქმედებას ეწევა. ისტორიული ცნობების თანახმად, აღექსანდრე მაკედონელმა დიპრო თაჯიკთა ქვეყანა და გაავრცელა აქ ელინური კულტურა, რომლის მეოხებითაც დიდი ხნის განმავლობაში თაჯიკები მოწინავე კულტურულ ერთა რიგებში იდგნენ. ელინური კულტურის შემდეგ თაჯიკებზე გავლენა მოუხდენია არაბულ და სპარსულ კულტურას, რაც, უეჭველია, თაჯიკების გამაჰმადიანების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

თაჯიკები სრულიადაც არ წარმოადგენენ ტიპებისა და ენის მიხედვით ერთგვაროვან ერს, პირიქით, ესაა მრავალრიცხოვანი ერი, სადაც არსებობს ნაირნაირი კუთხეები და დიალექტები, როგორცაა: ბადახშანური, შულნანური, რუშანული, ვახანური და სხვ. აღსანიშნავია, რომ თუმცა, ყველა თაჯიკურ დიალექტს საფუძვლად უდევს უძველესი ფარსული ენა, მაინც თაჯიკთა ზოგიერთ ტომებს (მაგ. შულნანელებს და დარვაზელებს) უძნელდებათ ერთმანეთთან საუბარი.

თაჯიკთა სოფლები დიდ ხეობათა ძირში მდებარეობს და თითქმის განუწყვეტელ ზოლად არიან გაჭიმული ხინგოუს, ვანჩის, ფანჯის და სხვა მდინარეთა ხეობების ქვემო ნაწილში.

თაჯიკური სოფელი ბანიანი თიხის სახლებით („ხორა“), ტანწერწეტი ალვის ხეებით და მოჩუხჩუხე არხებით აღმოსავლური სოფლის საერთო

სტილს ექვემდებარება. იქაური სოფელი, ჩვეულებრივ, ბალ-ბოსტნებითაა გარშემორტყმული.

მესაქონლეობას თავიკები ნაკლებად მისდევენ, ამიტომ თავიკური „ტაილაუ“ აგარაკს უფრო წარმოადგენს, ვიდრე საზაფხულო „ფერმას“. იიწათმოქმედების და მესაქონლეობის გარდა, თავიკები მისდევენ აგრეთვე ოქროს ამორეცხვას მდინარეთა ქვიშიდან და ნადირობას.

ერთიც და მეორეც პირველყოფილი იარაღებით წარმოებს.

შინამრეწველობა თავიკებს შორის, მათი კარჩაკეტილობის გამო, საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ეს ითქმის განსაკუთრებით ხის და მატყლის ნაწარმოების შესახებ. ავეჯიულისა და ჭურჭლეულის გარდა ხიდან საოცარი ოსტატობით აკეთებენ ქოშებს.

რელიგიით თავიკები მაჰმადიანები არიან, თუმცა მისდევენ ამ რწმენის განსაკუთრებულ სახეს („ცოცხალი მაჰმადი“, ანუ ალა-ხან), რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

### პამირის სვლენის ისტორიიდან.

შენახული ცნობების თან ხმად, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ, ევროპელთაგან პამირზე პირველი მოგზაური ვენეციელი მარკო პოლო ყოფილა.

მარკო პოლოს მიერ ცენტრალურ აზიის ამ ნაწილის შესახებ მოცემული ცნობები ბუნდოვანია.

მეცამეტე საუკუნის ეს შესანიშნავი მოგზაური თავის ნაამბობში, რომელიც ჩაწერა მასთან ერთად ვენუელთა ტყვეობაში მოხვედრილმა რუსტიჩიანი პიზანელმა, სხვათა შორის, იხსენიებს ლალის მალაროებს გადაბჟანში.

ეს მალაროება, როგორც გამოირკვა, შეესაბამება თანამედროვე იშკაშიმის ლალის მალაროებს მღა თანჯის ხეობაში.

„აქაური ხალხი, — გვიამბობს მოგზაური, — ტანზე მეტ წილად ნადირთა ჭურჭებს იცვამს, ვინაიდან ქსოვილი აქ ძვირად ფასობს. წარჩინებულნი კი ისეთ შარვლებს ატარებენ, რომ ზოგი ქალის შარვალს ას არშინზე მეტი ბამბის ქსოვილი უნდება, ზოგისას ოთხმოცი, ზოგისას კი სამოცი...“

აღმოსავლეთ პამირს მარკო პოლო შემდეგი სიტყვებით აწერს:

„ვახანიდან<sup>1)</sup> სამი დღე მთებით მიემგზავრები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, და აღიხარ, როგორც ამბობენ, მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალ ადგილზე. ამ მაღლობზე ორ მთას შორის მდებარეობს ვაკე, რომელზეც საუცხოვო მდინარე მოედინება. აქაა მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ ცნობილი საძოვრები (მარკო პოლოს ეს გადაჭარბებული ქება ვუნდა ალიჩურის ხეობისადმი იყოს მიმართული. აქ ბუდობს ურიცხვი ნადირი. ბევრია გარეული მთის ცხვარი; მათი რქები სიგრძით ექვსი მტკაველია. რქებიდან მწყემსები ფინჯანებსა და ჯამებს აკეთებენ. ამავე რქე-

<sup>1)</sup> ვახანის სახელწოდებით ცნობილია ავღანისტანის პამირის ერთერთი რაიონი და მოზრდილი მთაგრეხილი. საყურადღებოა, რომ ამავე სახელწოდების ქედი და სოფელი არის აგრეთვე ზეჟო იმერეთშიც.

ბით მწყემსები ლობავენ ფარებებს, რომლებშიც საქონელს ამწყვდევენ. ამ ვაკეზე, რომელსაც პამირი ეწოდება, სრული 12 დღე მიემგზავრები; არ გხვდება არც სამოსახლო, არც ბალახი. სიმაღლისა და სიცივის გამო, ფრინველები აქ არ მოიპოვება. მკაცრი სიცივის გამო ცვეხლიც სხვა ფერისაა, უფრო სუსტად ანათებს, ვიდრე სხვა ადგილებში, და ფრინველი კარგად ვერ იხარშება“.

მარკო პოლოს მოგზაურობის შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა, სანამ „ქვეყნიერების ბანზე“ კიდევ ავიდოდა ევროპელი. ეს მოხდა 1883 წელს. ამ წელს პამირზე იმოგზაურა ინგლისელმა გულმა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში აღმოსავლეთ პამირს ესტუმრა შვეიცრელი მოგზაური სვენ გედინი.

გედინმა გადალახა, ჯერ კიდევ მარტის თვეში, ალაის ქედი თენგიზ-ბაის უღელტეხილით (3700 მ.), გაიარა ალაის ველი დარაუთიდან ბორდობამდის, ყიზილ-ართის უღელტეხილით (4200 მ.) გადავიდა ტრანს-ალაის ქედზე და გადაკვეთა „სიკელიის ველი“—მარკანსუ.

ყარა-ყულის ტბის გამოკვლევის შემდეგ, სვენ გედინი გაემართა „პამირის სადარაჯოსკენ“ (მურღაბი), საიდანაც შემდეგ ჩინეთის პამირზე (ყაშლარეთში) გადავიდა.

ყარულარეთში გედინმა გამოიკვლია მუს-თაგ-ოთას მთის ყინვარები და იაკებით სცადა ამ მთის მწვერვალზე ასვლა. მაგრამ ვინაიდან გამოჩენილი მოგზაური მთასვლელი არ იყო, ამიტომ მან მხოლოდ 6000 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

სვენ გედინის მოგზაურობა ნახევრად ტურისტულ, ნახევრად სამეცნიერო ხასიათს ატარებდა და ემსახურებოდა შვეიცის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს შუა აზიის გამოუკვლეველ სიმიდრეთა მიმართ. დიდი თანხებით და საუცხოვო მოწყობილობით უზრუნველყოფილი სვენ გედინი დასავლეთ ევროპის ტიპური მოგზაური იყო. იგი დამოუკიდებლად აწარმოებდა აზიის კვლევას გეოლოგიის, ჰიდროლოგიის, მეტეოროლოგიისა და ბოტანიკის სფეროში. გარდა ამისა, საკმაო ღირებულება ჰქონდა სვენ გედინის სალიტერატურო ნაშრომებსაც, ვინაიდან ის აცნობდა კულტურულ კაცობრიობას, შუა აზიის სიმიდრესა და ადგილმდებარეობას.

პამირ-ალაის კვლევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს მოგზაურებს: **ლიპსკის, მუშკეტოვს, ნალივიჩს და კორჟენევსკის**. ამ უკანასკნელს, რომელიც დღემდის სცხოვრობს ქ. ტაშკენტში, ეკუთვნის ძვირფასი ნაშრომები ალაის, ტრანს-ალაის და აღმოსავლეთ პამირის შესახებ.

პამირის ყველა მკვლევარის ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანდა, და ამიტომ იმ მოგზაურებს შორის, რომელნიც ოქტომბრის რევოლუციამდის ესტუმრენ პამირს, დავასახელებთ მხოლოდ დარვაზის მკვლევარებს<sup>1)</sup>.

1913 წელს პამირზე მოვიდა გერმანელი ექსპედიცია **პროფ. ვილ-ლი რიკმერ-რიკმერის**<sup>2)</sup> მეთაურობით.

<sup>1)</sup> დარვაზის მთები შეადგენს ამ წიგნის მთავარ საგანს.

<sup>2)</sup> გ. რიკმერ-რიკმერსმა რამდენჯერმე იმოგზაურა აჯრეთზე ცენტრალურ კავკასიონზე. 1903 წელს იგი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო უმეგზურო მთასვლურ ექსპედიციას სვანეთის მთებში. ექსპედიცია ავიდა უშბაზე, შხარაზე, ტიხტეგენზე და სხვ.



პეტრე I-ის ქედის ჩრდილო ფერდობთა კვლევის შემდეგ რიკმერსი საღრუნის უღელტეხილებით გადავიდა ხინგოუს ხეობაში, სადაც გაიარა მდინარე ლარმის ხეობა, მაგრამ ლარმის ყინვარით შორს არ წასულა და რატომღაც უკან დაბრუნდა.

1916 წელს ლარმის ყინვარს ესტუმრენ გეოგრაფიული საზოგადოების წევრები: ბელაევი და ბესედიანი.

მათ მოიარეს ლარმოყინვარის უმეტესი ნაწილი, დააარსეს ორი ასტროპუნქტი, აღმოაჩინეს ვანჩი-დარას ყინვარის სათავეში უღელტეხილი, რომელსაც რუსეთის ასტრონომიული ობსერვატორიის „პულკოვის“ სახელი უწოდეს და ამ უღელტეხილით ვანჩის ხეობაში გადავიდნენ.

მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა შეაჩერა პამირის კვლევა. მისი განახლების თარიღად ჩაითვლება 1924—26 წ.წ., როდესაც აქ მუშაობდნენ პროფ. ნალიეკინი და პროფ. შჩერბაკოვი. 1928 წელი კი უნდა იქნეს მიჩნეული საბჭოთა პამირის ფართო და ღრმა მეცნიერული შესწავლის დასაწყისად.

ამ წელს პამირზე მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის და გერმანიის შეერთებული ექსპედიცია. ხელმძღვანელობდნენ: ნ. პ. გორბუნოვი, პროფ. დ. ი. შჩერბაკოვი და ზემოხსენებული რიკმერსი. თავისი მასშტებითა და სერიოზულობით 1928 წლის ექსპედიცია პამირისათვის უჩვეულო რამ იყო და წინა წლების ყველა ექსპედიციას აღემატებოდა.

გერმანელთა ტოპოგრაფიულმა ჯგუფმა, ცნობილი ფინსტერვალდერის მეთაურობით და გერმანელი მთასვლელების დახმარებით, ფოტოგრამეტრულად გადაიღო უზარმაზარი სივრცე შუაპამირზე.

გაიხონა და გამოკვლეულ იქნა პამირის უდიდესი ყინვარი — ფედჩენკო, ვანჩის და იაზგულომის აქამდის უცნობი სათავეები და თითქმის მოსპო „თეთრი ლაქა“ პამირის რუკაზე.

სამი გერმანელი მთასვლელი (ალვაინი, ვინი და შნაიდერი) ავიდა ლენინის (ყოფ. კაუფმანის) მთაზე (7129 მ.) ამასთანავე ერთად, ექსპედიციამ გამოარკვია, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალია არა ლენინის მთა (7129), არამედ მთა ლარმო (7495 მ.), დასავლეთის ქედზე.

ამ წლიდან მოყოლებული, ყოველ ზაფხულობით, პამირის მაღლობისაკენ მიეშურებიან გეოლოგიური, ტოპოგრაფიული და მთასვლელი ჯგუფები.

1929 წელს მუქ-სუს ხეობაში ოქროს ძიებას აწარმოებს დ. ვ. ნიკიტინი, ხოლო ამხ. ნ. ვ. კრილენკოს ჯგუფი გერმანელების გზით ცდის ლენინის მთაზე ასვლას. ცდა უშედეგოდ მთავრდება, მიუხედავად ორმაგი იერიშისა. ტრანს-ალაის ქედის თხემიდან ამხ. კრილენკო, წითელარმიელ ნაგუმანოვთან ერთად, ლენინის ყინვარით ჩადის ალაის ველზე.

1930 წელს ექსპედიცია შჩერბაკოვის და დოროფეევის ხელმძღვანელობით აწარმოებს ლაი-დარვაზში ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ კვლევას.

გეოლოგიურ ძიებას ახდენს აგრეთვე გ. ლ. იუდინის ჯგუფი მუქ-სუს ბეობაში.

1931 წელს კრილენკო-შჩერბაკოვ-დოროფევიცის ექსპედიცია განაგრძობს დარვაზის კვლევას. მთასვლელები ეხმარებიან ტოპოგრაფიულ რაზმს ფოტო-თეოდოლიტით განდოს ყინვარის გადაღებაში. ეს ექსპედიცია ღარმოს ყინვარსაც ესტუმრა, მაგრამ სანოვაგის ნაკლებობის გამო სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ორი ახალგაზრდა მუშა მოსკოვის ქარხნებიდან—კოლომენსკი და ზიკევი.

„დარვაზის თეთრი ლაქა“ ისევ თეთრად დარჩა.

თაჯიკისტანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებამ წამოაყენა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ორგანიზაციის წინაშე მთიანი ბადახშანის კვლევის გაფართოების და დაჩქარების საკითხი.

ამ საკითხის ირგვლივ 1932 წელს დაიარაღა ფართო საზოგადოებრიობა. პამირის კვლევის საქმეში ჩაება ყველა დაინტერესებული და კომპეტენტური ორგანიზაცია.

### „თაჯიკისტანის კომპლექსური ექსპედიცია“

შეორე შესანიშნავ თარიღად საბჭოთა პამირის კვლევის ისტორიაში 1932 წელს ჩაითვლება.

მაისიდან ნოემბრამდის მთიანი ბადახშანი მკვლევარი ჯგუფებით იყო სავსე. ყველა ეს ჯგუფი შედიოდა „თაჯიკისტანის კომპლექსური ექსპედიციის“ შემადგენლობაში.

საერთაშორისო მეორე პოლარულ წელთან დაკავშირებით, ექსპედიციის სამუშაო პროგრამაში შედიოდა, სხვათა შორის, შუა აზიის ყინვართა და მარადი თოვლეთის შესწავლა და აღწერა.

თაჯიკისტანის კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სამეცნიერო აკადემია, სამეურნეო ორგანიზაციები და პროლეტარული ტურიზმის საკავშირო საზოგადოება, თავისი შემადგენლობით მეტად მრავალფეროვანი იყო.

ამ ექსპედიციაში შედიოდნენ გეოქიმიური, გეომორფოლოგიური, ტოპოგრაფიული, მეტეოროლოგიური, გლასიოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური ჯგუფები. სულ ამ ჯგუფთა მუშაობაში 250-300 სამეცნიერო თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას.

ექსპედიციის მუშაობა საბჭოთა პამირის მთელ სივრცეზე წარმოებდა და ამიტომ ძირითადი დასაყრდენი ბაზა ქ. ქ. ოშში და სტალინბადაში ჩამოყალიბდა.

თითოეულ ჯგუფში, მეცნიერ სპეციალისტთა გარდა, შედიოდნენ აგრეთვე მთასვლელებიც. მათ დანიშნულებას წარმოადგენდა: კვლევისათვის დახმარების გაწევა და მთიანი რელიეფის დაძლევის ტექნიკურ სიძნელეთა გადავლილება.

მთასვლელთა კადრის უმეტესი ნაწილი მოსკოვისა და ლენინგრადის ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შედგებოდა. ნაც. რესპუბლიკიდან კი იყო მხოლოდ ოთხი მთასვლელი: უკრაინიდან, ჩრდილო კავკასიიდან და საქართველოდან.

მთელი საქსპედიციო საქურველი და მოწყობილობა, რა თქმა უნდა, ზუსტი სამეცნიერო ხელსაწყოების გარდა, პროლეტარული ტურიზმის საზოგადოებამ ფაბრიკებში დაამზადა (ქ. მოსკოვში).

სანოვაგით მომარაგება ხდებოდა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით. სანოვაგის მცირე ნაწილი გამოწერილ იქნა გერმანიიდან.

მუშაობის პროცესში ექსპედიცია სარგებლობდა როგორც დაქირავებული, ისე საკუთარი ცხენებით; იყო ავტოტრანსპორტიც (6 საბარგო „ფორდი“) და ყაზლარულ აქლემთა ქარავანი.

ექსპედიციის ხელმძღვანელობა ასეთი შემადგენლობის იყო: თაჯიკ. კომპლ. ექსპედიციის საერთო უფროსი—ნ. პ. გორბუნოვი, რომელიც 1928 წელს ხელმძღვანელობდა საბჭოთა და გერმანულ ექსპედიციას.

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. დ. ი. შჩერბაკოვი.

მთასვლური ჯგუფებისა და ექსპედიციის დარვაზული ნაწილის უფროსი—ნ. ვ. კრილენკო.

გეოლოგიურ ჯგუფებს მეთაურობდნენ: მოსკოვინი, იუდინი, ნიკიტინი; ზოოლოგიურს—როზენოვი.

ტოპოგრაფიულს (ფოტო-თეოდოლიტიანს და მენზულიანს) რაზმებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ი. გ. დოროფეევი.

პროფ. ვ. ი. პოპოვის ჯგუფი ატარებდა მეტეოროლოგიურ და გლა-სიოლოგიურ კვლევას ფედჩენკოს ყინვარის რაიონში და სხვ. და სხვ.

ჩვენ წილად გვხდა მონაწილეობა დარვაზულ ექსპედიციაში, რომლის უმეტესი ნაწილი მდ. ხინგუს სათავეებს იკვლევდა, ხოლო მოსკოვის ჯგუფი მუშაობდა პეტრე I-ის ქედის ჩრდილო ფერდობებზე.

მდ. ხინგუს მთავარი ძარღვის — მდ. ღარმოს—სათავეები, მოქცეული პეტრე I-ის, სამეცნიერო აკადემიისა, და დარვაზის ქედებს შორის, პამირის ყველაზე უფრო ნაკლებად გამოკვლეულ კუთხეთა რიცხვს ეკუთვნოდა. მათ „ღარმოს კვანძი“ ეწოდებოდა.

ჩვენი ჯგუფის ამოცანას შეადგენდა ამ „კვანძის“ გახსნა. ყურადღების ცენტრს წარმოადგენდა:

- 1) გამორკვევა ღარმოს ყინვარული აუზის ურთიერთობისა (ტოპოგრაფიული) მუშკიტოვის, ფორთამ-ბეკის და ბივაკ-თანიმასის ყინვარებთან.
- 2) ევგენია კორჟენესკაიას კონცხის ნამდვილი მდებარეობის გამორკვევა ზუსტი გადაღებით.
- 3) ამ მთის მწვერვალზე ასვლა.
- 4) ხეობათა დამაკავშირებელი უღელტეხილების გავლა.
- 5) რაიონის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური რუკების გადაღება.
- 6) მინერალურ სიმდიდრეთა ძიება.



## უზბეკისტანში.

მატარებელმა მძღავრად დაიქმინა არალის ზღვასთან და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. პირველად ვაგონის ფანჯრიდან პეიზაჟი ისეთივე უცვლელი იყო, როგორც ეგვიპტური მუმის სახის გამომეტყველება. ისევ „ბარხანები“, ე. ი. ქვიშის უსიცოცხლო ტალღისებრი ბორცვები, სევდიან თანამგზავრად მოსდევდნენ მატარებელს. სხივებით შეიარაღებული მზე სეტყვასავით აყრის ისრებს არალის მლაშე და უფერულ უდაბნოს. ჰაერი თითქო გამდნარ ტყვიად ქცეულა და უძრავია... საღდაც დასავლეთის მხარეზე მოჩანს მირაჟი, თითქოს ჰაერში ატყორცნილა მაღალი ხეების მწკრივი, არავითარ ყურადღებას არ აქცევს მსოფლო მიმზიდველობის კანონებს და სივრცეში გაშვებულა. როგორც გამოირკვა, ამ მიმართულებით ძალიან შორს მიედინება მდ. სირ-დარია, რომლის ნაპირზე მწვანე ოაზისებია გამწკრივებული. ჩვენ მიერ ნანახი ხეები კი მხოლოდ შორეული ანარეკლი იყო სირ-დარიას ნაპირებისა.

ცხელოდა. სიცხე ჩრდილში 45° აღწევდა.

მეორე დღეს მატარებელი კაზაკის ტანის უდაბნოებიდან გასული ბორცვიანი უზბეკისტანის მიწაზე მიქროდა... შუადღისას გადახრუკულს ტრამალს მწვანე კუნძულებივით გამოერია ოაზისები... სადგურებზეც კი თავს იჩენდა უზბეკთა ქვეყნის ბარაქა, ნესვი, შურძენი და გარგარი, ხოლო სადგურები ერთმანეთზეა გადაბმული ბაღებისა და ბამბის ნათესებით.

საოცარი კალეიდესკოპია დედამიწა! შეუძლებელია ჩვენი კანდაკმუჭნული პატარა პლანეტის ზურგზე ორი სავსებით ერთნაირი ქვეყანა... თუნდაც მხოლოდ ჩვენი დედამიწის  $\frac{1}{6}$  რომ ავიღოთ, ე. ი. საბჭოთა კავშირი, მის ფარგლებშიც კი ძნელია გეოგრაფიული უბნების სათითაოდ გაცნობა... მთელი საცოცხლის განმავლობაში რომ იმოგზაუროთ რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში, ხეობიდან ხეობაში, მაინც ვერ შეძლებთ გეოგრაფიული მასალის ამოწურვას.

ავილოთ მაგალითად უზბეკისტანი.

აღზისა და ტიანშანის ჩრდილოეთისაკენ დაშვებული ფერდობები მდინარე სირ-დარიის თვალგადუწვდენელ დაბლობს ებჯინება. ამ ვრცელი დაბლობის სამხრეთ ნაწილში ჯერ კიდევ ვხვდებით განცალკევებულ გორაკებსა და სერებს, რომლებიც, ექვს გარემეა, ამ ადგილებში უწინ არსებული მთიანი მასივების მოწყვეტილ ნარჩენებს წარმოადგენენ. ფერდანის ველზე ეს დაბალი მაღლობები საბოლოოდ ქრება, და ჩრდილოეთისაკენ გამლილა სავსებით ვაკე ველი. სამხრეთული მდებარეობა და დიდი ზღვების სიშორე ამ ქვეყანას, ისე, როგორც საერთოდ შუა აზიას, კონტინენტალურ ჰაერს უქმნის, ე. ი. ატმოსფერული ნალექების სიმცირე იწვევს ტემპერატურის მკაფიო რხევას წლის განმავლობაში; ზაფხული შეტად ცხელია, ზამთარი კი საკმაოდ ცივი. შუა აზიის ყამირი წყლის მცირე რაოდენობას შეიცავს, ამიტომაც მდინარეთა ქსელი უზბეკისტანში იშვიათია. აქ, სადაც ხელოვნური რწყვა მოწყობილი არ არის, გამეფებული უდაბნოს პეიზაჟი; ქარის მიერ შექმნილი ქვიშის ბარხანები, რომლებზეც მცენა-

რეულობისათვის საჭირო ნიადაგი თითქმის არ არსებობს, არავითარ შე-  
საძლებლობას არ იძლევა ადამიანთა საცხოვრებლად.

სამაგიეროდ, იქ, სადაც მოწყობილია ხელოვნური რწყვა, უზბეკთა  
ქვეყნის ზედაპირი უზარმაზარ ბაღებადაა გადაქცეული. წყალი არის შუა  
აზიის მთავარი და საარსებო საკითხი. თუ წარმოვიდგინოთ, რომ ერთბაშად  
მოწყდა რომელიმე დიდ არხში წყლის დენა, აქიდან ბუნებრივად შეიძლება  
ისეთი დასკვნის გამოყენება, რომ უმაღვე გაიხრდება მიწის დიდი სივრცე  
და უდაბნოდ გადაიქცევა, გაპარტახდება და მოისპობა მრავალი სოფელი.

უზბეკისტანში აქა-იქ არის ჭაობიანი ადგილებიც, სადაც მძინვარებს  
ტროპიკული ციებ-ცხელება. აქაურ ჭაობში, ჩვეულებრივ, უამრავი ტახი  
და ფრინველი ბუდობს.

ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით, უზბეკისტანში მეურნეობის  
მთავარ სახეებს წარმოადგენენ მებაღეობა და მემარცვლეობა, ზოგიერთ რა-  
იონში პურისა და სიმინდის გარდა თესვენ აგრეთვე ბრინჯსაც. გარდა  
ამისა ხალხმა უკვე დიდი ხანია მიაგნო მიწათმოქმედების იმ დარგს, რო-  
მელიც შესანიშნავად ეგუება შუა აზიის ჰავა - ნიადაგის პირობებს და  
რომელსაც უეჭველად დიდი მომავალი ელის აქ. ესაა მებაღეობა. შუა  
აზიის ბამბა არა მარტო ქმნის აქაურ საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე  
სამეურნეო საფუძველს, არამედ პირდება საბჭოთა კავშირის ჩინეთის ბამ-  
ბაზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას.

დავუბრუნდეთ ჩვენი მოგზაურობის აღწერას.

22 ივლისს ჩავედით ტაშკენტში.

ტაშკენტი ისეთი ქალაქია, რომელიც ვერ დაიტრაბახებს ვერც ხუ-  
როთმოდღვრების სიდიდით, როგორც, მაგალითად, ლენინგრადი, ვერც  
საქმიანი ფუსფუსით, როგორც მოსკოვი, ვერც თავისი ლამაზი ადგილ-  
მდებარეობით, როგორც ტფილისი, და ვერც გაჩაღებული მრეწველობით,  
როგორც ბაქო. სამაგიეროდ, ტაშკენტს შეუძლია თავი მოიწონოს მწვანე  
ბაღების სიღრმეში ჩადგმული სახლებით, ქუჩის ნაპირებში მოჩუხჩუხე არ-  
ხებით, ხილით და აღმოსავლეთის დასავლეთთან შეხამებით.

საკმარისია თვალი მიმოავლო ქუჩაში მოსიარულე ხალხის ეთნოგრა-  
ფიულ სიჭრელეს, რომ აღგებრას ინტერესი ამ ქალაქისადმი. ვილაცას  
უთქვამს: ქული ადამიანის პირადობის მოწმობააო, ამ თამამ გამოთქმას  
მთლიანად, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ქულის შეკერვა  
სტანდარტულადაც შეიძლება. მაგრამ რაც შეეხება კერძოდ ტაშკენტს,  
აქ ქულების მრავალფეროვანება საკმაოდ ზუსტი ანარეკლია მოსახლეობის  
ეთნოგრაფიული სიჭრელისა. აგერ ყირღიზების თეთრი მატყლის ქულები,  
პროფილში ნაპოლეონის ქუდს რომ გაგონებს; იქ კიდევ მოზაიკურად კეკ-  
ლუცობენ უზბეკების „ფასები“, „ТЮНЕТЯЙКИ“-ს ეძახიან ამ ბელურის ბუ-  
დებს ჩემი ამხანაგები. იშვიათად გაირჩევა ფაფახი — ეს, უთუოდ, კავკასი-  
ელია! ამ აღმოსავლური ყაიდის თავსამკაულებს შორის ხედავთ ქალაქურ  
ქულებსაც: ეს ტაშკენტის მუშა-მოსამსახურენი არიან.

გრიალითა და ზარის წკარუნით გაიჭროლებს ტრამვაის ვაგონი. უზ-  
ბეკი ვატმანი, წინაპრებისაგან გადმოცემული ჩვეულების ინერციით, ხანდა-

ხან შესძახებ; ლიანდაგზე ზანტად გადამავალ მგზავრებს: „ფოშ! ფოშ! (ამ ლიმონადის საცობივით ამომსკდარ სიტყვებს ზშირად გაივონებთ უზბეკისტანის ბაზრებში, შავგვრეძანი მეურმეებისაგან)... აქ ცოდნით დიდ-თელიანი ურმები. თითოეული ასეთი ურმის თვალი აზის მატერიკის უჩვეულო მასშტაბების ცოცხალი განსახიერებაა. ბორბლის სიმადლე ორ მეტრს უდრის, და თვით ურმებიც დაახლოვებით იმავე სიგრძისაა. მეურ-მე ზის არა ურმის კოდოზე, არამედ ურმეში შებშულ ცხენზე.

„ტაშ-კენტ“, ანუ ქვის ქალაქი, უძველესი დროიდანვე ასრულებდა გან-საკუთრებულ როლს შუა აზიის ცხოვრებაში.

ტაშკენტი ყოველთვის ის კვანძი იყო, სადაც იხლართებოდა სხვადა-სხვა ხალხის ისტორიული ბედ-იღბლის ძაფი, ხივას სამეფო, ბუხარის სამეირო, ყოყანდის სახანო... თემურლენგის აკლდამით თავმოწონებული, კოკაინისტივით ზუმ ექსტაზში ჩაფლული სამარყანდი, დიუშამბე, ბარაქიანი ფერდანი, აზიის სივრცეზე გაბნეული ყირღიზთა სამფლობელო, უდაბნოს გერები—თურქმენები... უფრო შორს კი თაჯიკების და ავღანელების ქვეყ-ნები, ამ ქვეყნებს იქით დარღისტანი და ყაშმირი.

ასეთ კვანძს წარმოადგენდა ტაშკენტი. და თუ ბრიტანეთმა ლაგანი ამოსდო ჰინდოსტანს, ზღვარად მიიჩნია ჰიმალაის და ყარა-ყორუმის ცა-მდის აზიდული მთაგრეხილები, თათებით კი კარჩაქეტილ ტიბეტს, ავღა-ნისტანს და პამირს ეპოტინებოდა,—ამ დროს არც რუსეთის იმპერია-ლიზმს ეძინა.

ტაშკენტმა შეასრულა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ციხე-ბურჯის როლი შუა აზიის საკითხში.

„ქვის ქალაქის“ ხეივნებს ახსოვთ „თეთრი მეფის“ ძღვევამოსილი, პა-გონებით მიკანჭული სარდლები: სკობელევი, იონოვი, კაუფმანი და სხ.

ტაშკენტის არხებს არ დაეიწყებიათ ის ხანა, როდესაც რუსეთის ჯარები ხიშტით და შაშხანითა მიიწვედენ სამხრეთისაკენ და აღმოსავლ-ეთისაკენ... როდესაც იონოვის მიერ დაპყრობილ „ქვეყნიერების ბანს“ გუ-შაგად დაუყენეს მრისხანე „პამირის სადარაჯო“.

კიდევ ბევრი სხვა რამ ახსოვს ტაშკენტს...

განსაკუთრებით კი: ჩრდილოელი დამპყრობელების დამოკიდებუ-ლება შუა აზიის შვილებისადმი.

ზიზღი უკულტურო „Туземец“-ებისადმი იქამდის მიდიოდა, რომ უზბეკებს აუკრძალეს:

მატარებლით მგზავრობა,

სახელმწიფოებრივ დაწესებულებასაში სამსახური,

სწავლა რუსულ სკოლებში.

დღეს კი უზბეკისტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წელში გაიმართა სამეურნეო და კულტურული ცხოვრებით. ლათინური ალფაბე-ტია შემოღებული. უამრავი წიგნია გამოცემული. წინათ არაბული ასო-ებით ნაბეჭდი ერთი ჟურნალის გარდა სხვა საკითხავი წიგნი უზბეკს თა-ვის ენაზე არ გააჩნდა.

შემოიჭრა ახალი ცხოვრება, ახალი ეპოქა.

ძარღმავარი ჭაბუკი ებრძვის ჩაჩანაც მოხუცს, რომელსაც ჩამორჩენი-  
ლობის კურტანზე ჰკიდა საუკუნეთა ლოდებით სავსე ტომარი.

ჭაბუკი იმარჯვებს...

კულტურულ განვითარებასთან ერთად, უზბეკისტანი განიცდის სა-  
მეურნეო და სამრეწველო გაძლიერების პროცესს. ტრაქტორი აადვილებს  
თვალუწვდენელი ოაზისების დამუშავებას. თეთრი ბამბა, ეს თეთრი ოქრო  
გადაქცეულა რესპუბლიკის საშემოსავლო წყაროდ. მსხვილი კოლექტიური  
და საბჭოთა მეურნეობები ამყარებენ გეგმიან მეურნეობას ტექნიკის უკა-  
ნასკნელი მიღწევების საფუძველზე. შენდება ახალი არხები. ესენი ართმევენ  
უდაბნოს სივრცის ახალ-ახალ ნაგლეჯებს. ხდება ქალაქისა და სოფლის  
ელექტროფიკაცია. შენდება და მუშაობას იწყებენ სადგურები, რომელთა  
ნაშრომები მომავალში უთუოდ დიდ როლს შეასრულებენ სასოფლო მე-  
ურნეობის განვითარებაში. ძლიერდება მრეწველობა: რადიუმის მაღარო-  
ები, სანავთე ჭები და სხვა.

ამ ქალაქში ჩვენ მხოლოდ ერთი დღე ვრჩებით და 23 ივლისს საღა-  
მითი ისევ მატარებელში ვართ. ტაშკენტიდან ჩვენ მივექანებით ჯერ სა-  
მხრეთისაკენ, შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ ვავუხვევთ, ვავივლით ხო-  
ჯენტს, ყოყანდას და ყირღიზეთის ავტონომიურ ოლქს მივადგებით.

დილაა. ვაგონის ფანჯრებში სამხრეთისაკენ იხაზება თურქესტანის  
და ალაის ქედების დაკბილული პროფილი. თვალგადუწვდენელი ვაკეების  
შემდეგ მთების დანახვა თითოეულს ჩვენთაგანში იწვევს გამოურკვეველ  
სიხარულს. გასაკვირიც არაა: მთებში სიგრილეა, მთებში ადამიანი ნე-  
ბისყოფით ამაყობს, მთებში ადამიანის არსებას იმორჩილებს სილადის  
გრძნობა...

იმ ქალაქს, სადაც ჩვენ მატარებლიდან ჩამოვხტით, ანდიჟანი ეწოდება.

ანდიჟანი ჩვენ მოგვევლინა ტაშკენტიდან დაწყებული აღმოსავლური  
კონოფილმის გაგრძელებად. თვით ანდიჟანი ევროპულ გემოვნებაზე ავებუ-  
ლი ქალაქია, მაგრამ მის ელფერში ბევრი რამ არის აღმოსავლურიც.

აგიწერთ ერთ აღმოსავლურ სურათს.

აგერ უზარმაზარი ფაქრული ტახტი სამარყანდელი ხალიჩებითაა  
დაფარული. ტახტზე ფეხმორთხით სხედან უზბეკები, ყირღიზები და თა-  
ჯიკები. ქოშები გაუხდიათ.

ხალიჩებზე დასვირნობენ ჩინური ფაიფურის ლიპიანი ჩაიდნები და  
ფაიფურისვე ფერადად მოხატული „ფიალები“, ანუ ჯამები. აქა-იქ აზიური  
აუჩქარებლობით ბუყბუყებს წყალი „ჩილიმებში“ (ყალიონებში). დარბაისე-  
ლი უზბეკი მთელი თავისი სერიოზულობით, მთელი ძალ-ღონით ეწევა ჩი-  
ლიმიდან ყვითელი უზბეკური თუთუნის მძალე კვამლს... ჩაიხანას დროვა-  
მოშვებით მიადგებიან „მეჩილიმენი“ და ყველას თავაზობენ ყალიონს.

ირკვევა, რომ საღამომდე არ მოვა ქალაქ ოშიდან ავტომობილი ჩვენ  
წასაყვანად. მთელ დღეს ჩაიხანაში ვატარებთ.

ღამის 11 საათი იყო, ავტომობილმა რომ ქ. ოში მიგვიყვანა.



5—6 დღით გვაკავებს ოშში მოსამზადებელი მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში ვასწრებთ ოშის გაცნობას.

ყაშლარელმა ვაჭარმა იბრაჰიმ ახუნ იუსუფ-ახუნმა, რომელსაც თავზე, მისივე სიტყვით, ათი მეტრი აბრეშუმის ჩაღმა შემოეხვია და რომელმაც ჩვენს ექსპედიციას მოაქირავა აქლემთა ქარავნები, სადილად მიგვიწვია.

ახუნისგან გამოგზავნილმა ეტლებმა წავგიყვანეს ქალაქის ძველ ნაწილში, სადაც თხოვანი ქოხები ჩრდილო ჩინეთის ლიოსში ნათხარ სასახლეებს მოგაგონებს. ახუნის ბინა. შედარებით უკეთესი გამოდგა: ორსართულიანი და აივანით შემოვლებული. ეზოში იდგა თითის სისქე მტვრით დაფარული ტახტრეწები, რომლითაც ჩინეთში „იდი კაცებს“ ატარებენ მონები.

იბრაჰიმ ახუნ იუსუფ-ახუნის წვეულება სავსებით მოკლებული იყო იმ აღმოსავლურ ეგზოტიკას, რომელსაც ეძებენ დასავლეთ ევროპის „ტურისტები“. ჩვენ შემოვუსხედით სავსებით თანამედროვე მაგიდას, დანაყრდით ჩვეულებრივი ხილით, რომელსაც საკმაოდ იაფ ფასად ყიდიან ოშის ბაზარზე, და შეეუღლებით ჩვეულებრივი უზბეკური შილაფლავის განადგურებას. ეგზოტიკის მოლოდინი ჩემს მოსკოველ ამზანაგებს სავსებით გაუქარწყლდათ, როდესაც მაგიდის შუაგულში წამოსკუბდა სარაჯიშვილის კონიაკის ერთი ბოთლი.

ოშში მისვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიზიდა კლდოვანმა სერმა, რომელიც ბალვენახიანი ქალაქის შუაგულში მდებარეობს. ამ კლდეებს ადგილობრივი მოსახლეობა „სულეიმანის ტახტს“ უწოდებს.

მის შესახებ უზბეკებს შორის შემდეგი თქმულებაა დარჩენილი:

„იქ, სადაც ახლა შუა აზიის მთებია, ოდესღაც სულეიმანი (ასე უწოდებენ მაჰმადიანები სოლომონ ბრძენს) გუთნით მიწას ხნავდა. სახნისის მიერ გათხრილი კვალი იქცეოდა ხეობებად, მის მიერ გადაწვენილი ბელტები კი მთაგრეხილებად. ასე გაჩნდა აზიის მალალი ქედები. სულეიმანი მუშაობით მოიქანცა, შესძახა ხარებს „ოშ“ (შედექ) და დასასვენებლად მახლობელ კლდოვან სერზე ჩაპოჯდა. შემდგომ ამ კლდეების ირგვლივ გაშენდა ქალაქი, ოშ“, ხოლო თვით სერს „ტახტა-ი-სულეიმან“ ეწოდა.

„სულეიმანის ტახტი“ შუა აზიაში თაყვანსაცემ და წმინდა ადგილად ითვლება. მაჰმადიანებს იგი სასწაულმოქმედ მკურნალად მიაჩნიათ და შორეული ქვეყნიბიდანაც კი მოდიან აქ სალოცავად. „სულეიმანის ტახტს“ ავღანისტანსა და სინ-ცზიანშიც კი (დასავლეთი ჩინეთი) იცნობენ.

გადავწყვიტეთ „ტახტზე“ ასვლა. ის ჩვენ გვაინტერესებდა არა მარტო როგორც ისტორიული ძეგლი და მაჰმადიანური აღმოსავლეთის დამახასიათებელი მოკლენა, არამედ აგრეთვე როგორც კლდეებზე ასვლის ტექნიკაში სავარჯიშოდ გამოსადეგი ადგილი.

28 ივლისს რიჟრაჟზე გამოვედით კარავებიდან და მძინარე ქალაქის ყრუ ქუჩებით „სულეიმანის ტახტისაკენ“ გავეშურეთ. ხელსაყრელი დრო იყო ექსკურსიისათვის. სიცხის ნაცვლად ოზონით გაჟღენთილი სიგრილე იდგა ოშში.

ნახევარი საათის სიარულის შემდეგ „სულეიმანის ტახტს“ მივადექით.

„სულეიმანის ტახტი“—ესაა სამი თუ ოთხი საკმაოდ ციკაბო კლდოვანი კონცხი, რომლებიც ერთმანეთზე ფართო და გრძელი ყელებითაა გადაბმული. მწვერვალთა თხემი ქალაქთან შედარებით დაახლოებით 200-250 მეტრით მაღლაა. სერის ძირში და კალთებზე საფლავ-აკლდამთა შორის დგას გაპარტახებული თალიანი მეჩეთი. მეორე თითქმის ასეთივე მეჩეთი დგას სერის ერთერთ მწვერვალზე.

მკვრივი ქვაკირის კლდეებზე მთასვლური ვარჯიშობის შემდეგ მივაღვივებთ მეჩეთს.

აქ ჩვენ ორი საყურადღებო რამ ვნახეთ.

პირველი ის იყო, რომ აქედან გარკვევით მოჩანს ალაის ქედი. „ქვეყნიერების ბანის“ კარის ზღურბლი, რომლის იქით მდებარეობს უცნაური ქვეყანა ალაი და თვით მკაცრი პამირი.

მეორე მეჩეთის ირგვლივ შეგროვილიყვნენ ყაზლარიდან, ე. ი. ჩინეთიდან მოსული მლოცველები. დამტვერიანებული ტანისამოსი და მოთენთილი სახეები მოწმობდა იმას, რომ ყაზლარიდან ოშაშდის მგზავრებს დიდის გასაჭირი გამოეგლოთ...

როგორც ერთმა ამხანაგმა აღნიშნა, „სულეიმანის ტახტი“ ნამდვილი დისპანსერი გამოდგა.

ალბათ, მკითხველს ახსოვს, რომ „სულეიმანის ტახტს“ მკურნალობის სასწაულებრივ უნარს აწერენ.

აი ეს ყაზლარლებიც სწორედ ამ მიზნით მოსულან. რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის ფეხშიშველნი მოდიოდნენ ისინი თარიმის და ალაის ქვიან ბილიკებზე მხოლოდ იმისთვის, რომ „სულეიმანის ტახტს“ სწვეოდნენ.

კლდეებში მოჩანს ხელოვნურად გაკეთებულ ნაირნაირი ზომისა და სახის ხვრელები.

თავშებვეული ყაზლარელი რამდენიმე წუთით დებს თავს ქვაკირის ორმოში, ლოცულობს და მერე შედის მეჩეთში.

არის აგრეთვე „მკურნავი“ ხვრელები ხელ-ფეხისათვის და აგრეთვე მოსიპული კლდის სიპრტყე. ამ სიპრტყეზე ჩამოცურებით ქალები „მკურნალობენ“ უშვილობას, კაცები კი რევმატიზმს.

მტკიცედ სწავთ, რომ განიკურნებიან.

„სულეიმანის დისპანსერში“ არის დამზარე პერსონალი.

ეშმაკი და მოქნილი ოშელი მოლა ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველის მაჰმადის სახელით საკმაო თანხებს ცანცლავს უტხოვლ „სტუმრებს“.

ამგვარად მოლას საკმაოდ დიდი თანხები შემოდის და ის თავისი პროფესიით საესებით კმაყოფილია.

„სულეიმანის ტახტიდან“ ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ ფეხმორთხმული მოლა, მეჩეთის დანგრეულ კლდეზე რომ იჯდა და აღფრთოვანებული ხმით „ყურანიდან“ რაღაცას ქადაგებდა. 10-15 მლოცველი სულგანაბული უსმენდა მას.

ფანატიკოსის გადაჭარბებულ მგრძნობიარობას რამდენიმე მლოცველის სახეზე ცრემლებიც კი აუბრწყვიალებია...

საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრები მაჰმადიანები, უკანასკნელი წლების განმავლობაში კულტურულ ფრონტზე გააღებული გაძლიერებული მუშაობის გამო, ერკვევიან უმსგავსოებაში, ზურგს უბრუნებენ „სულიმანის ტახტისა“ და სხვა მის მსგავს „სასწაულებს“, და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მაჰმადიანები თავს დააღწევენ რელიგიის მავნე გავლენას და ჩადგებიან უღმერთოთა რიგებში. სამისო მუშაობა იქ ყველგან გააღებულია.

ექსპედიციის მზადება დამთავრდა. 28 ივლისს ქებით, ფქვილითა და ბრინჯით დატვირთული ქარავანი, რომელიც 35 აქლემისგან შედგებოდა, გავიდა ბაზრიდან ყაშლარელი „ყარაყეშების“, ანუ მექარავენების თახხლებით.

ორი დღის შემდეგ მიემგზავრება ექსპედიციის შემადგენლობა ცხენებით. მას მისდევს ორმოცი ცხენისაგან შემდგარი ქარავანი, 5 უზბეკი მუშა, 15-მდის ყაშლარელი მექარავენი.

### ქარავნების დიდი გზით

22 დღის განმავლობაში მიემგზავრებოდით ცხენებით პამირ-ალაის ბილიკებზე, სანამ მივალწივდით ღარეახს, ე. ი. დასავლეთ პამირის იმ კუთხეს, რომელიც ჩვენი ექსპედიციის მიზანს შეადგენდა.

22 დღის განმავლობაში მივყავდით ყირღიზულ ცხენებს, რომლებსაც ეუტხოვებოდით რუსული უნაგირები, რუსული ტლანქი უზანგები და მძიმე ლაგამი.

ფერღანის აყვავებული ველიდან ჩვენი ქარავანი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა.

უკან რჩება უზბეკთა სოფლები: მადა, ლიანგარი. იწყება ყირღიზეთი—უბალო, გადატრუსული, ერთფეროვანი და მკაცრი ქვეყანა!

მივემართებით აღმა მდინარე ყურშ-ობის ტიტველი ხეობით. ოშიდან გამომგზავრების უკვე მესამე დღიდანვე შევდივართ ალაის ქედის ჩრდილო შტოთა ლაბირინტში და ახლადაყვანილ შარავზას მივსდევთ. ესაა ქარავნების მთავარი გზა სინ-ცზიანიდან უზბეკისტანში; ამ გზით ქარავნები დადიოდნენ მრავალსაუკუნის განმავლობაში. ეს გზა აერთებს ფერღიან ველს ჩინეთთან, ბრიტახულ ინდოეთთან და აღვანისტანთან.

„ქარავნების დიდ გზას“ უწოდებენ მას ჩვენი უზბეკი მუშები.

ცხენების ნელი ნაბიჯით მივიწევთ სამხრეთისაკენ. წინ უკვე ჩნდებიან ალაის მთავარი ქედის ბრგე კლდოვანი მასივები... ხეობების ფერდობები ბალანის იშვიათი ზოლებითაა დასერილი და წიწვიან „აჩრა“-ს ბუჩქებით დაწინწკლული.

მცენარეულობის სიღატაკე შუა აზიის მთების დამახასიათებელი თვისებაა... აქ ვერ იპოვით ჰიმალაის სამხრეთი ფერდობების, დასავლეთ კავკასიონის ან თუნდ იტალიური ალპების უხვი მცენარეულობის აჩრდილსაც კი.

მტვერით გვესება პირი, ნესტოები, ყურის ნიჟარები. ჩრდილი თითქმის არ გვხდება გზაში. ყოველივე ამას თან ერთვის ქარავნის ზანტი სვლა: დღეში საშუალოდ 25-30 კილომეტრს გავდივართ. პირველ დღეებში ზოგი-



ერთი ჩვენგანი გზაში კითხვით ერთობოდა, მაგრამ ბოლოს ეს გასართობიც გამოგველია.

გონების ერთადერთ მასალას და, უნდა ითქვას, საკმაოდ მდიდარს და საყურადღებო მასალას ჩვენთვის გზად შემხვედრი ქარავენები და მგზავრები წარმოადგენდა, ისინი შლიდენ ჩვენს წინაშე საინტერესო ფურცლებს და წინაარსიანი წიგნისას, რომელსაც შუა აზია ეწოდება.

გამოზომილი რითმული რხევით მიიზღანზებიან უზარმაზარი მახინჯი აქლიმეზი. თითოეულ მათგანს შესისხლიანებულ ცხვირის ნესტოებში ხის მცირე ჩხირი აქვს გაყრილი; ამ ჩხირზე მივაგრებული წვრილი თოკითაა ყველა აქლემი ერთმანეთზე მიბმული. ქარავენის წინ დიპლიმატოს ჩხირებივით სწრაფად მიაკაკუნებს ფეხებს პატარა სახედარი, რომელიც აქლემებთან შედარებით მიკროოზგანიზმს მოგვეგონებს. მაგრამ ეს დიდ ცხოველები სავსებით ენდობიან და ეპორჩილებიან პატარა ცხოველს, რომელსაც არხეინად მიჰყავს 15-20 აქლემი. ჩვეულებრივად სახედარზე ზის მზისგან შავად დამწვარი „ქარავან-ბაში“ ფეხებს მიაქნევს და უცნაურ სიმღერებს გაკვივს. მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ „ქარავან-ბაში“ და მექარავენები რაიმე მიზეზის გამო დროებით ჩამორჩებნან ქარავანს, და მაშინ შავთვალა სახედარს ეკისრება ქარავენის მეთაურობა. ის აჩერებს აქლემებს, როცა ვიწრო გზაზე მგზავრები შეხედება, და მათ გასვლას უცდის. გონებრივი უნარით სახედარი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცხენი. უკანასკნელს ეშინია სრულიად უგუნებელი საგნებისა დაფრთხება და გარბის.

ყაშღარელები საუკეთესო აქლემებს ყელზე ჰკიდებენ ზარ-ეყენებს და ფერად ფუნჯებს. ქარავენის ზარების რეკა აზიურ პირობებში თავისებური კონცერტია, რომელსაც მალე ეჩვევი და ყურადღებას თითქმის აღარ აქცევ.

ეს ქარავანი, რომელიც ყაშღარიდან და ხოტანიდან მოდის, ბამბითა და ტყავეულობითაა დატვირთული. ტომრებზე შავი საღებავებითაა გამოყვანილი ერთიდაიგივე წარწერა: „სოიუსტრანსი“.

ჩინეთიდან მომავალი ქარავენების გარდა, გზაზე გჭხდებიან ალაის მცხოვრები ყირღიზები; ისინი სხედან ცხენებზე, აქლემებზე და იაკებზე, ანუ კუტასებზე.

იაკი ბანჯღვლიანი ხარია, საყანწერქებიანი. მისი სამშობლო ტიბეტიცაა. შუა აზიის მომთაბარე მესაქონლე მთიელებს, თავიანთი სამშობლოს მკაცრი ჰავის გამო, ეს ცხოველი დიდ სამსახურს უწევს. არცერთი სხვა შინაური ცხოველი არ იძლევა ისეთ მრავალმხრივ სარგებლობას, როგორსაც იაკი. უპირველეს ყოვლისა, იაკი, როგორც ბუმბერაზული ღონის მქონე პირველი ხარისხის სატვირთო ცხოველია. ოთხ ფუტის იწონის მისი ტვირთი თუ ათს, იაკისათვის ერთიდაიგივეა. დინჯად მიაბიჯებს მოკლე და მსხვილკუნთიან ფეხებს, უტოტმანოდ დადის ყინულზე, ყინვარის ნაპრალებზე, ქვიან გზებზე, უდაბნოზე... მოხერხებულად გადის პამირის ადილებულ მდინარეში. ამავე დროს იაკი პატრონისაგან სრულიად არაფერს არ მოითხოვს: საკმელსა და სასმელსა თვითონ პოულობს. ზამთარში თოვლს

თბრის და გამზნარ ბალახსა და ბუჩქეულს შეეკცევა. გარდა ამისა, სინო-  
ყვირით განთქმულია იაკის რძე.

იაკი ძალიან გამოსადევია პამირ-ტიბეტის მცხოვრებთათვის. ყირ-  
ლიზები სტუმარ-მოყვარენი არიან. ჩიგირჩიკის გადასავალთან მოხუცმა  
ყირლიზმა საჩუქრად ჩამოგვიტანა ბანაკში ყუმისით, ე. ი. ცხენის რძით,  
სავსე ტიკი. ყირლიზები უმეტესად ფლეგმატიკები არიან, რაც შათ გა-  
რემოსა და ყოფაცხოვრების მიერ არის გამოძულებული. სხვაგვარად  
შეუძლებელიცაა პამირის მკაცრი და ძუნწი ბუნების პირობებში ცხოვრება.

ყირლიზი აუღელვებელია, დინჯი, აუჩქარებელი, გასაჭირის ამტანი.

დღედღეს მისდევს. აგვისტოს პირველი დღეებია. ჩვენ უკვე ალაის  
მთავარ სერს მიუახლოვდით. ყოველ დილას მორიგი გუშაგის დაძახილზე  
გაპოვებრებით ხოლმე საძილე ტომრებიდან. უზბეკი მზარეული მამაჯან გვი-  
მზადებს საუზმეს. საუზმის შემდეგ საჯდომი ცხენების შეკაზმვა და ქარავნის  
ცხენების ტვირთვა იწყება. ეს პროცედურა დაახლოვებით ორ საათს  
გრძელდება. სანახევროდ გაუხედნავი ყირლიზული ცხენები უნაგირების დანა-  
ხვანზე ფრთხებიან და აფრთხობენ. თავიანთ მხედრებს. დაახლოებით 10  
საათზე ქარავახი მზადაა, და ჩვენც მივემზავრებით.

200 მეტრის მანძილზე ზარების რეკითა და ყაშლარელთა ყიჟინით მი-  
გვდევს ქარავანი „ჰარამ არგურ!“ „დონდუს!“ — გაისმის წამდაუწყუმ.

სალამოა. ექსპედიციის რამდენიმე წევრი წინ მიდის და საბანაკო  
ადგილს ირჩევს. ათიოდე წუთიც და... ახოვანი „ქარავან-ბაში“ მტკიცე  
ნაბიჯით მიუხვევს გზიდან, საპალნეებს ჩამოიღებენ, და რკინის ჩაქურის კა-  
კუნით იმართება კარვები.

ბანაკის შუაგულში ცეცხლი აგუზგუზდება, და ზანტად ჩამოწოლილ  
სიბნელეში კოცონის ალით გაშუქებული უზბეკის გოლიათური ტანი და  
მრგვალი პირისახე გამოიხატება.

მამაჯან გვიმზადებს სადილ-ვახშამს.

იშვიათი ადამიანია მამაჯან! დედით ჩინელი, მამით ყაშლარელი,  
აღზრდილია უზბეკად. 17 წელი უმსახურია მოსაზღვრეთა წერტში ირკე-  
შტამთან; ახალგაზრდობა ინგლისურ კონტრაბანდასთან ბრძოლაში გაუ-  
ტარებია. მზარეულის ხელობაც ირკეშტამში უსწავლია. შეუძლებელია ორი  
დღე მაინც იმგზავროთ მამაჯან რუზი-ახუნთან და არ განიმსჭვალთ მის-  
დამი სინპათიის გრძნობით. ტანალნაგობით ნამდვილი ჰერკულესია,  
ხასიათით კა უწყიხარი, როგორც ბავშვი. საქმიანი და სერიოზული კაცია  
მამაჯან. ოფიციალურად ექსპედიციაში მზარეულად ითვლება, მაგრამ  
ჩვენი კონსულტანტია ყველა იმ საკითხში, რომელიც პამირს ეხება. მამა-  
ჯან ცოცხალი ენციკლოპედიაა. მისგან ყველაფერს გაიგებთ პამირ-ალაის  
და უზბეკ-ყირლიზეთის შესახებ.

ამაზე არა ნაკლებ დადებით ტიპებს წარმოადგენენ დანარჩენი ოშელი  
მუშები: სადირი, ჯურა-ბაი და აბობაქრი. ისინი კეთილსინდისიერად და  
მოხლოებით გვემსახურებიან.

უზბეკთაგან საგრძნობლად განსხვავდებიან ჩვენი უშლარელი მექარა-  
ნეები.

ისინი მთელი დღე დუმან, ჩუმად არიან, მხოლოდ საღამოობით ამოიღვამენ ხოლმე ენას. სამაგიეროდ, როგორც ეს საერთოდ ნაკლებად მოლაპარაკე ხალხს ჩვევია, ყაშღარელებს ახასიათებს არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა და გამძლეობა.

მექარავენობა უმძიმეს ხელობათა რიცხვს ეკუთნის. თითოეული მექარავენე დაახლოვებით ორჯერ უფრო მეტ მანძილს გადის დღეში, ვიდრე ქარავენი, ვინაიდან მას უხდება წამდაუწუმ მიმორბენა და ქარავენისათვის ყურის გდება. ფეხსაცმელი არ გააჩნდათ, და ჩვენმა მნემ მისცა მექარავენებს ბრეზენტის საცხენოსნო ფეხსაცმელი.

მეტად თავისებურია ყაშღარული სიმღერა. ესაა უდაბნოს ნამდვილი სიმფონია, რომელშიაც „ქვეყნიერების ბანის“ ყველა ბგერაა ჩაქსოვილის ყაშღარულ ჰანგებში გარკვევით ნოისმის სამუშის საზარელი ქროლვა თავკა-მაკლანის უდაბნოში, ქარავენისაგან ჩამორჩენილი ღონემიხილი ცხენის კენესა, მგლები ყმუილი თოვლიან ზამთარში, დამშუული აქლემის ბლავილი, იაკის ბლუილი... ჩვენის აზრით, ძალიან ძნელია ამ სიმღერების ჩაწერა და რომელიმე საკრავით გადმოცემა.

ალაის მთავარი ქედი, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფს მდინარე ამურ-დარის, სირ-დარიის აუზებს შორის, თითქმის უთოვლო, კლდოვანი თხემია. მისი ზოგიერთი მწვერვალი სიმაღლით ჩვენს მყინვარწვევს არ ჩამოუვარდება (5.000 მეტრი ზღვის დონიდან), ხოლო ალაის ქედზე მდებარე უღელტეხილების სიმაღლე 3800-3900 მეტრია.

„ქარავენების დიდი გზა“ ალაის ქედზე გადადის, თალდიყის უღელტეხილით. ამ უკანასკნელის სიმაღლე ზღვის დონიდან 3545 მეტრს უდრის, და ამრიგად ის ალაის ყველა სხვა უღელტეხილებზე უფრო დაბალია.

თალდიყი ჩვენ 7 აგვისტოს გადავლახეთ. პამირი ცივი და წვიმიანი ამინდით შეგვხვდა. ძალიან უძნელდებოდათ ღამის მორიგეობა გუშაგებს, ვინაიდან 7 აგვისტოს საღამოდან მეორე დილამდის განუწყვეტლივ წვიმდა და ნიავი ქროდა.

8 აგვისტოს ალაის ველზე გავედით.

ეს ველი იმდენად შესანიშნავია, რომ შეუძლებელია ამაზე მკითხველის ყურადღება არ შევაჩეროთ.

პარალელური მთაგრეხილების—ალაისა და ტრანს-ალაის—შორის გადაშლილია თვალგაღწევადელი ვაკე. ამ ვაკის სიგანე 40 კილომეტრს აღწევს, სიგრძე კი თითქმის 200-ს, ზღვის დონესთან შედარებით ის საშუალოდ 300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ვაკეს ყირღიზულად „ალაი“ ეწოდება.

სიტყვა „ალაი“, ზოგიერთ მკვლევარების განმარტებით, „მრავალფეროვანს“ ნიშნავს, სხვა ვარიანტებით კი „ჯოგს, გროვას“. უკანასკნელი განმარტება უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან ზაფხულობით ყირყიზები ალაის ველზე უამრავ საქონელს აძოვებენ. ამ შემთხვევაში „ალაი“ შეგვიძლია გავეუტოლოთ რაქველების საჯოკებს.

ალაის ველი წარმოადგენს უზარმაზარ იალალს, ანუ, როგორც თვითონ ყირღიზები იტყვიან, „ჯაილაუს“. აპრილ-მაისში აქ უკვე ამწვანებული

ბალახია, და ყირღიზთა საქონელი იკვებება. ივლისის ბოლოს მშრალი ჰავა მზის დაუნდობელი სიმხურვალის გამო ბალახს აჭკნობს და ახმობს. ბალახი აქ საერთოდ 6-98 სანტიმეტრზე მაღალი არ იზრდება. სადაა აქ ცხენისწყლის სათავეების — ზესხოს და ლაფურის — ალპიური საძოვრები, სადაც ცხენოსანი ბალახში იმალება! ტყეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „არჩას“ ერთი წიწვიანი ბუჩქიდან მეორე ბუჩქამდის ჩრდილიან ტრანს-ალაის ფერდობებზეც კი რამდენიმე ათეული მეტრი მანძილია.

როგორც ყირღიზები ამბობენ, მათ წინაპრებს ოდესღაც ჰქონიათ „ალაის სამეფო“, რომელსაც, მათივე თქმით, იშვიათი სილამაზის დედოფალი სდგომია სათავეში.

ალაის ველს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მთელ სიგრძეზე კვეთს მდინარე ყიზილ-სუ (ე. ი. წყალწითელა ქართულად).

ალაის ველზე და მის მიდამოებში, სხვათა შორის, მგზავრის ყურადღებას იზიდავენ ყვითელბეწვიანი ცხოველები, რომლებიც მიწაში ამოთხრილ სოროებში ბინადრობენ. ამ პატარა ცხოველს უზბეკნი „სლურ“-ს (რუსების „Сурок“) უწოდებენ. ზოძით სლური დაახლოვებით მელას ოდენაა, მხოლოდ უფრო სქელი და მკვრივი, ხოლო მოყვანილობით დიდ თავეს მოგვაგონებს. თავეს კიდევ იმიტო ენათესავენ, რომ ორივენი მორღნელთა ოჯახობას ეკუთნიან.

სლურს ხშირად დაინახავ სოროს შესავალთან უკანა ფეხზე დასკუბებულს. წინა თათები თითქოს გულზე დაუკრეფიაო, თავი წინ წამოუწევი და დიდის ინტერესით ადევნებს თვალს გამვლელ-გამომვლელთ.

მგზავრის დანახვაზე სლური ისევ სოროს უბოუზრდება.

სლურის ქურჭი ძვირფასია და თითქმის არ ჩამოუვარდება მელას ქურჭს. ამიტომ, თუ წინასწარ არ იქნა ზომები მიღებული, სლურს ჰამირზე განადგურება მოელოს.

9 აგვისტოს დილიდანვე მზიანი ამინდი დადგა, და ჩვენ პირველად დავინახეთ ტრანს-ალაის ქედი.

ცენტრალური კავკასიონის მნახველისათვისაც კი ალაის ველიდან ტრანს-ალაის ნახვა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტრანს-ალაის ქედი, რომლის შუა ნაწილის საშუალო სიმაღლე 5500-6000 მეტრის სიმაღლე აღწევს, თითქმის 200 კილომეტრის მანძილზე მისდევს ალაის ველის სამხრეთ (მარცხენა) ნაპირს. ამრიგად ტრანს-ალაის მარადი თოვლით შევოსილი ზღუდის თხემი ველიდან საშუალოდ 3 კილომეტრის სიმაღლეზეა ამართული.

ტრანს-ალაის ქედის ფერდობებს დიდ მანძილზე ფარავს თოვლიანი ფართო ველები. ამ თოვლიანი ველებიდან ჩამოკილებულან მრავალრიცხოვანი ყინვარები, რომლებიც კვებავენ მდ. ყიზილ-სუს მარცხენა შენაკადებს. მზიან ამინდში თვალს ჭრის ადამიანს თოვლ-ყინულის ელვარება. გოლიათებივით ამართულან ეს მწვერვალები. მუქი ლურჯი ფერის ცა მხატვარ-პეიზაჟისტის ოსტატური ხელივით მკაფიოდ აქანდაკებს თითოეულ მწვერვალის კონტურს.



ჩვენგან იმ მწვერვალებამდის, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სწორი ხაზით 50 60 კილომეტრის მანძილია, მაგრამ გვერთა 6-8 კილომეტრზე მეტი მანძილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს.

გოლიათი მთების შუაგულში, 7130 მეტრის სიმაღლეზე, ჰალარა თავი აუმაართია მხარ-ბეჭიან ლენინის მთას. ღრუბლები დროგამოშვებით გარს ეხვევიან ბუმბერაზის სუფთა შუბლს... ეს ის მთაა, რომელიც 1927 წლამდის შუა აზიის დამპყრობელთა ერთერთი „ბრწყინვალე“ წარმომადგენლის—გენერალ კაუფმანის—სახელით იყო ცნობილი. „კაუფმანის კონცხი“ 1929 წლამდე ითვლებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალად. ზუსტი-გაზომვით გამოირკვა, რომ უფრო მაღალია დასავლეთ ქედზე მდებარე მთა ლარმო.

ლენინის მთას აქეთ-იქიდან მოსდგომიან ძერჟინსკის, ცურუპას, კრასინის, გოლოდარსკის, სეგრდლოვის და სხვათა მწვერვლები, რომლებსაც სახელი მხოლოდ 1928 წელს მიეცათ.

სულ 6 დღე მივერგზავრებოდით მდინარე ყიზილ-სუს მარჯვენა ნაპირის დაყოლებით, დასავლეთისაკენ. ტრანს-ალაის ქედი მარცხნივ მოგვდევს, მაგრამ მისი სიმაღლე და თოვლი სწრაფად იკლებს, თხემი კლდიანი ხდება. გზაში გვხვდება ყირღიზთა იურტები და ყიშლალები: დარაუთ-ყურდანი, ქოქ-სუ, ყარამუყი...

ალაის ველი ვიწროვდება და მალე კლდოვან ხეობად იქცევა. კანიონის ძირში მიხტის ყიზილ-სუ... წყალი მოწითალო ფერისაა, მთელ ხეობას აყრუებს მისი ღრიალი.

ვიწრო ბილიკი პიტალო კლდეში გამოკვეთილი ხელოვნური ბაქნებით, ანუ „ოვრინგებათ“ მიეძარტება. ბილიკი იმდენად ვიწროა, რომ ორი ცხენი ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის ერთმანეთს, ამიტომ ალაგ-ალაგ ტყეში შეთხრილია გამოქვაბულები, სადაც შეიძლება მოცდა.

უახლოვდებიან თუ არა ამ „ოვრინგებს“, ყველა ჩამოდის ცხენიდან. აზოვანი ყაშლარელი მიდის წინ, გავა ოვრინგის მოპირდაპირე ბოლოში (იქონიეთ მხედველობაში ის, რომ ოვრინგის სიგრძე 1 კილომეტრამდისაა), და იქ აკავებს შემხვედრ მგზავრებს მანამდის, სანამ მთელი ჩვენი ქარავანი ოვრინგს არ გაივლის.

აქ ყირღიზელი ცხენი ყურებდაცქვიტილია, გულდასმით სინჯავს გზას დანაბიჯებს მომჭირნობით ადგამს. ალაგ-ალაგ ბილიკს ღობავს მოსიპული სალი კლდის „ზღურბლი“—ცხენებს ფეხი უსხლტებათ და ნალეზიდან ნაპერწკლები სცვივით. ყაშლარელი დატვირთულ ცხენებს სათითაოდ უშვებენ ბილიკებზე და თვალყურს ადევნებენ, რომ ტვირთიანი ცხენი კლდეს არ მოედოს, და უფსკრულში არ გადაიჩვიოს.

არის ისეთი ადგილებიც, სადაც კლდეებში შერჭობილ სარებზე დალაგებულია ფიჩხი და ზედ მიწა აყრია, რაც პამირის „საგზაო ხელოვნების“ პირველხარისხოვან მიღწევას წარმოადგენს.

ოვრინგიდან გადიჩება ერთერთი იმ ქროხათაგანი, რომელიც ჩვენ დარაუთში სახორცედ შევიძინეთ. მექარავნები ფლატეზე დაეშვენ და ცხო-

ველი მოძებნეს. ტყავი რამოდენიმე ალაგას დასისხლიანებული და დღ-გლეჯილი ჰქონდა, თოკებით ამოთრიეს ძროხა ბილიკზე.

ყიზილ-სუს მარჯვენა ნაპირის ტერასაზე, ზღვის დონიდან დაახლო-ებით 2200 მეტრის სიმაღლეზე, გაფენილია ყირღიზთა ყიზლალი „აჩიყ-ალმა“. ამ სოფლის სახელწოდება „მეჯავე ვაშლს“ ნიშნავს. მართლაც, აქაურ ბაღებ-ში ბევრია მომეჯავე ვაშლი, რომელსაც ჩვენ ვიმარაგებთ ბინგოუს ხეობამდის.

აჩიყ-ალმას მიდამოებიდან სამხრეთის მიმართულებით უკვე მოჩანს მოელვარე თოვლ-ყინულით შემოსილი პეტრე დიდის ქედი, კერძოდ მისი დიადი სამი მწვერვალი: ტინდალის, ავასიცის და სვერცოვის კონცხები.

### თაჯიკისტანის ბილიკმაზი.

იქ, სადაც ყიზილ-სუ და მუქ-სუ თავიანთი შეერთებით მდინარე ვახსს აჩენენ, ჩვენ გადავიარეთ ტრანს-ალაის დაბოლოებიდან მარაოსავით გამოწვდილი ტოტები და 13 აგვისტოს მდ. მუქ-სუზე გადაებული ხილით სოფ. დევსიარში მივედით.

ფედჩენკოს, ფორტმა-ბეკის და სხვა უზარმაზარი ყინვარების ღვიძ-ლი შვილი მრისხანე მდინარეა—მუქ-სუ.

მაგრამ მუქ-სუ განთქმული მდინარეც არის იმ მხრივ, რომ უხსოვარი დროიდან ამ მდინარის ლამში ადგილობრივი მცხოვრებლები ოქროს პო-ულობდნენ. მუქ-სუს ოქრო განთქმულია მთელ შუა აზიაში.

ბევრი ისეთი გიჟმაჟი მდინარე მინახავს, რომელიც სისწრაფით მუქ-სუს აღმატება, მაგრამ ვერც ენგური და თერგი, ვერც ლიახვი და ალაზანი ვერაგობით ვერ შეედრებიან მუქ-სუს. მოულოდნელი ორმოები და სიპი ლოდები აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზეა. დევსიარის ხიდი ერთად-ერთი ხილია ამ მდინარეზე.

დევსიარის განაპირას გვაღვისაგან დანაპარალბულ მიწაზე ვმართავთ ბანაკს. ცინე-კოშკისებრი ციცაბო მწვერვალი დაჰკურებს დევსიარს სა-მხრეთ-აღმოსავლეთიდან. უფერული მთები ისრებად ასხლეტილა „მიწის პირამიდებით“ საკანის კედლებივით მოსდგომიან დევსიარის არემარეს. მდინარის ნაპირიდან ბრუნდებიან მთელი დღის მუშაობით მოქანცული ოქროს მაძიებლები. მათ შორის იმყოფება ოთხმოცი წლის ცალკბილა ყირღიზი შამსი.

შამსი მალე დაგვიმეგობრდა და თავისი დღიური ნამუშევარი გვიჩვენა. სათითის მსგავს ხის ჭურჭლის ძირში მოჩანს მბზინავი ყვითელი ფხენილი—ოქრო.

— ეს ცოტაა თუ ბევრი, შამსი?—ვეკითხებით ყირღიზს.

— ცოტაა!—გვიპასუხებს იგი.—ბევრჯერ ერთ დღეში ამიგისა მთლიანად ეს ჭურჭელი. მაგრამ ეს იღბალის საქმეა: ვისაც შეხვდება.—შეხვდება.

შამსი მუშაობის დროს ოქროს სარეცხი პირველყოფილი ხელსაწყო-ებით სარგებლობს. ასეთი ხელსაწყოებით სარგებლობდნენ პამირელები ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დროს. მდინარის ნაპირებზე გარიყულ ქვიშასა და ლამს სხედასხვა საცრებში ატარებენ და ამავე დროს წყლით

რეცხავენ. ქვიშა წყალს მიაქვს, ხოლო ოქრო, როგორც მძიმე ლითონი, ხელსაწყოზე რჩება.

— რას უზამ ამ ოქროს, შამსი?

ყირლიზი ეშმაკურად იღივება.

აღმოჩნდა, რომ ოქროს გასასაღებლად სრულიადაც არაა საჭირო შორს წასვლა. „СОИЗЗОЛТО“-ს დუქნამდის სულ რაღაცა ნახევარი დღის სავალია. ყირლიზი სახედარზე შესკუბდება და დილიდან წასული საღამომდის უკვე ამოიტანს სახალათე აბრეშუმს და სხვადასხვა ქსოვილებს შვილებისა და შვილიშვილებისათვის და აგრეთვე ტომრებით ფქვილს, ცოტაოდენ შაქარს...

შამსისაგან ვიგებთ აგრეთვე, რომ ამ მდინარის ნამდვილი სახელწოდება „მოგვ-სუ“ არის. ოდესღაც აქ უცხოვრიათ მოგვებს, ე. ი. ცეცხლისთაყვანისმცემელების ქურუბებს. აქედან დაურქმევიათ მდინარისათვის „მოგვ-სუ“ (მოგვების წყალი).

დევისიარში ჩვენი ექსპედიციის პირადი შემადგენლობა ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი დევისიარში დარჩა, მეორემ კი განავრძო ქარავანთან ერთად მგზავრობა და პეტრე დიდის ქედზე მდებარე გარდანი-ქავთარის უღელტეხილით ხინგოუს ხეობისკენ გაემართა.

15 აგვისტოს მივატოვეთ დევისიარი. მოგვ—სუს რიყიდან აღმართს შევეუდექით და ნელნელა მივიწვეთ ზევით.

ტინდალის სსხელობის მთა ქუდად ედგმის. თავის უფრო დაბალ მეზობლებს... ამ მხრით ის თეთნულდს მოვაგონებთ.

აღმართი 3100 მეტრის სიმაღლეზე თავდება, და ჩვენ ვაკე საძოვრებზე მივედით.

ჩვენს ირგვლივ აქა-იქ დადგმულია ყირლიზული იურტები, ბალახს ძოვენ ძროხები, იაკები, მოწყენილი აქლემები. ჭიხვინით მიმორბიან გალალებული ცხენები და თამაშობენ ყირლიზების ლოყაგამობერილი ბავშვები... მთელი ეს არემარე ვეებერთელა „ჯალაუს“ წარმოადგენს. ბილიკი იხლართება ფერდობებზე, გადაკვეთს ტაფობებსა და ხეებს. ორივე მხრიდან შემოგვესმის ზღურების თავმომამბურებელი სტენა.

აგერ, წყლის დასალევად ნაკადულთან ჩასული პაწია მხეცი ჩვენს დანახვაზე უმალ სოროსკენ გარბის. ძლივს ვასწობ ცხენიდან ჩამოხტომას და თოფის გაართვას—ზღური უკვე მიადგა საკუთარ ბინას... წამიც და... მაგრამ ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა ღუპავს მას. სანამ სოროში ჩამალებოდეს, ის უკანა ფეხებზე დადგება და დიდის ინტერესით გვათვალიერებს. თოფი ივრიალებს... სღურის ყვითელი ფიგურა ლახტის მოთამაშე ბიჭივით შეხტება და მიწაზე ეცემა. ორიოდე გაბრძოლება, და სღური სამარადისოდ შეშლება.

ბილიკი ღრმა ხევებში ეშვება. ოღროჩოღრო სავალზე წამდაუნწუმ გვიხდება ცხენიდან ჩამოხტომა და წინგაძლოლით სიარული.

ღამდება.

ავიარეთ მოკლე აღმართი, და უცებ ჩვენს წინ ვრცელი და სავსებით ჰორიზონტალური ვაკე გადაიშალა. ეს ჯაილაუ „ვახია“ გახლავთ... ტაჟობს



ორ ნაწილად ყოფს მიხვეულ-მოხვეული ანკარა ნაკადული, რომელიც ვიწრო „ქარში“ გასვლათ ხევში ჩანჩქერებად იღვრება; მინდორში მოჩანს იურტები და საქონლის მრავალრიცხოვანი ჯოგი.

იურტების წინ თავს იყრის „ჯამათი“. ყირღიზები გაკვირვებით გვათვალიერებენ.

— სალამ ალეიქუმ! — წკრიალა ხმით შეჰყვირა მამაჯანმა.

— ალეიქუმ სალამ! — გუნდად უპასუხეს ყირღიზებმა.

ჩვენი ბანაკი იურტებიდან მოშორებით იმართება.

სევერცოვის დიადი მწვერვალი ზვიდად დასცქერის „ვაზიას“ ჯაილაუს. ესაა შუაზე გაყოფილი უფორმო მასივი სპეტაკ თოვლიდან ამოზიდული კლდის დევ-გმირული კოშკებით... სევერცოვის მარჯვნივ თავი აუწევია კლდოვან ქედს ლამაზი და მიუყარებელი პირამიდული კონცხებით. მწვანით დაფარული ჯაილაუ მოელვარე თოვლიანი მთების კონტრასტს წარმოადგენს.

მზე ჩადის, მაგრამ მის სხავეს ეზარებათ სევერცოვის მთიდან მოწყვეტა, და მას შემდეგ, რაც მთელ ნიღამოს ჩრდილი გადაეფარა, მწვერვალი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ოქროსფერადაა მოვარაყებელი. ნელნელა ადის ჩრდილის და სინათლის ზღვარი სევერცოვის კინკრისოსაკენ და, ბოლოს, ქრება უკანასკნელი შუქის კუნძული ჩრდილის ოკეანეში.

ჩვენს ბანაკს უახლოვდებიან ყირღიზები.

ერთ მათგანს ხელში ხეყურული თანდურის მსგავსი საკრავი უჭირავს და უკრავს. ასრულებს ადათს სტუმრების სმენის დასატკბობად. ხნიერი ყირღიზი გვიწვევს სტუმრად იურტისკენ.

წარსულ წლებში ყირღიზებთან სტუმრობას ბევრჯერ მოჰყოლია სამწუხარო შედეგი, მაგ. მდიდარმა ყირღიზმა აბდულ-რახმანმა მიიპატიჟა საქეთოდ ექსპედიციის ერთი ჯგუფი და ამავე დროს აცნობა ბასმაჩებს, რომელნიც ექსპედიციას თავს დაესხენ.

სიფრთხილის გამო თოფები თან წავიდეთ.

მასპინძელი გვიღებს იურტის კარს, ე. ი. ასწია შესავალში ჩამოკიდებული ფარდა და შევყავართ იურტაში. კუთხეში გაშლილ ხალიჩებზე ვიკეცებით, თოფებსაც იქვე ახლოს ვაყუდებით.

ქალები შლიან ჩვენს წინაშე „დასტარხანს“, ე. ი. ფარჩის წითელ ნაჭერს, რომელზეც სასმელი და საჭმელია დალაგებული.

აქაა ხის ჯამებით ჰაირანი და რძე, კარაქი, თეთრი პური, მოხარშული ცხვრის ხორცი, ქოქ-ჩაი და კონიაკი.

იურტაში იკრიბებიან ყირღიზები. გაიმართა მუსაიფი.

გვეკითხებიან ექსპედიციის მიზნებისა და მარშრუტის შესახებ, მამაჯანი განმარტებებს იძლევა, ჩვენ კი გრილ ჰაირანს შევიქცევით.

ჰაირანი შედედებული რძეა. კავკასიონზე ჰაირანის დამზადებით განთქმული არიან ბალყარელები, და უკანასკნელ წლებში იალბუხზე მიმავალ მთავლელებს თითქმის ყოველთვის თან მიაქვთ ჰაირანით სავსე ტიკი.

ნოყიერი და გემრიელი საჭმელია.

ყირლიზების ჰაირანმა ჩეგემის ბეობა გამახსენა; სადაც ბალყარელების საზაფხულო ბინებში ჰაირანს გვთავაზობდნენ.

უკვე სავესებით ბნელოდა, ბანაკს რომ დაეუბრუნდით.

უკბილო ყირლიზის, წინამძღოლობით (პატარაობაში ცხენს წიხლით ამოუშტკრევია ყველა კბილი) გავეშურეთ დილით ზევითკენ. ყირლიზი არხინად ზის შიშველ ტაიჭზე. მიგვაცოლა რა გზაჯვარედინანდის, იგი გამოგვემშვიდობა და მეზობელი ჯაილაუსაკენ გაქუსლა.

ჩვენ კი ისევ მივდიოდით ვაკე ზეგანზე ძროხებსა და კუტასებს (იაკებს) შორის და ვაფრთხობდით სღურებს. მინდორს დასტრიალებდა ჭილყავების გუნდი, რომელიც ჩხავილით იკლებდა არემარეს.

უცბათ წინ ორიგინალური პროცესია შემოგვხვდა. მამაჯანის განმარტებით, ეს ყირლიზების საქორწილო ქარავანია. ყველაზე წინ მოდის ლამაზად შეკაზმულ ცხენზე შემჯდარი ჩადრაფარებული კოხტად მორთული პატარძალი, მას მოსდევენ აქლემები, იაკები, სახედრები და ცხენები, მზითვით და მაყრებით დატვირთულნი. პატარძლის ამაღაში ყურადღებას იპყრობენ ყირლიზი მანდილოსნები. მათი თავები შემკულია ძალიან გრძლად შემოხვეული ზეწრებით, რომლებიც თეთრი თოვლივით კამკამებენ. მამაჯანი გვეუბნება, რომ ზეწარში თავისუფლად შეიძლება ცხენიანი კაცის მთლიანად გახვევა. თეთრი გოდორივით „ქუდები“ ამახინჯებენ მანდილოსნების გარეგნობას.

არავითარი მუსიკა, არავითარი მზიარულობა!

ნამდვილი პამირული სტილის ქორწილია!

საქორწილო ქარავანმა გვერდში უხმოდ ჩავვიარა.

მთელი დღე მივმგზავრებით თუფჩაყის გაშლილ ვაკეზე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მარცხნიდან გვაცილებენ პეტრე დიდის ქედის პრიზმისებრი კონცხები. ნაშუადღევს ვხედავთ დიდ, თეთრ კარვებს და ჯაილაუსზე გაშლილ უამრავ ცხვარს.

მინდორზე ცხენს დააჭენებს მწყემსი.

მისგან ვავიგეთ, რომ კარვები და ცხვარი ყარა-შურას მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთნის.

ვჩერდებით მეურნეობის გასაცნობად.

ფარების მწე გვაცნობს მეურნეობას. ამჟამად ყარა-შურას რაიონში საბჭოთა მეურნეობას 40.000 ცხვარი ჰყავს. მეცხვარეობის ტრესტის უთავბოლოობის მეოხებით ცხვარმა ზამთარში დიდი გაჭივრება გამოიარა. არალის ზღვის სანაპიროებზე, სადაც თურმე ბალახი მზამიანი ცოდნია. ზამთრის განმავლობაში ფარა თითქმის სანახევროდ გაწყდა. გაზაფხულზე დიდის გაჭივრებით მორეკეს ცხვარი აქ—პამირზე. მთის ძარღვიანმა ბალახმა გამოაკეთა საქონელი.

განზრახულია, მოპავალ ზაფხულზე აქ ამორეკონ 100.000 ცხვარი და ყველა აქაური საძოვარი ყარა-შურას საბჭოთა მეურნეობას გადასცენ.

მწყემსების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ისინი ღებულობენ პამირისათვის შესაფერის სანეცტანსაკმეღსა და საჭირო სურსათს.

მეურნეობა ახდენს თავიკური (გისარული) ცხვრის შეჯვარედინებას შერინოსთან. მწყემსებმა გამოაცხადეს სოცშეჯიბრება და პირობა დას-

დეს, რომ საქმის კეთილსინდისიერად შესრულებით ხელი შეუწყონ მეურ-  
ნობას.

17 აგვისტოს ჩვენი ქარავანი იერიშით მიდის პეტრე დიდის ქედის უკანასკნელ აღმართზე. გველშაპის მძორივით ჩამოწოლილა ხეობაში დიდი ყინვარი. საითაც არ უნდა გაიხედო, დაინახავ, რომ ყველგან ციხე-ბურ-  
ჯების მსგავსი კლდოვანი მწვერვალები აზიდულა. დანაპრალეული ყინ-  
ვარები მხოლოდ აქა-იქ მიკვრია ფრიალო ზღუდეებს, და მთასეულეებს  
ბევრი ჯაფა დაადგებათ მომავალში ამ კონცხზე ასასვლელად, ე.წ. მაშინ,  
როდესაც პამირსაც ეწვევიან სპორტსმენი-მთასკულები.

ნაშუადღევის 4 საათი იყო, როდესაც ჩვენ ფეხი დავადგიტ გარდა-  
ნი-ქავთარის უღელტეხილს. ვიწყოფებით 3800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის  
დონიდან. ყირღიზულად „გარდანი-ქავთარ“ მტრედის კისერს ნიშნავს.

მართლაც, უღელტეხილის ფერდობებზე გაწოლილი თოვლის ზოლები  
ზემოდან დახედვით ზოგიერთი ჯიშის მტრედების აქრელებულ კისერს  
მოგაგონებს.

უღელტეხილიდან სამხრეთის მიმართულებით უკვე მოჩანს ხინგოუს  
ხეობა და მის გადაღმა დარვაზის ქედი თოვლიანი მწვერვალებით.

მეორე დღეს, შუადღის შემდეგ, ჩვენ უკვე მივემართებით ბილიკით  
ხინგოუს ხეობის აღმა.

ყირღიზების ქვეყანა უკან დარჩა. ახლა ჩვენ ნამდვილ თაჯიკისტანში  
ვიწყოფებით.

თაჯიკების პირველივე ყიშლადი ლიანგარი, რომელიც ზღვის დონიდან  
დაახლოებით 2100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, გაოცებსთ თავისი  
ბალებით, სიმინდის ნათესებით, მწარე ნუშით, გოგრით, და აუარებელი  
ვაშლით... გაოცებსთ იმიტომ, რომ გუშინ ამ დროს ჩვენ მარად თოვლებ-  
ზე მივდიოდით და ჩვენ ირგვლივ მკაცრი ალპური ჰავის მეოხებით ბა-  
ლახიც კი არ ჩანდა.

შეუძლებელია ხინგოუს ხეობაში მოგზაურობის დროს არ მოგვაგონ-  
დესთ, ჩვენი კავკასიონი, რომლის დასავლეთ ნაწილში 2000 მეტრის სიმაღ-  
ლეზე ვაშლი და სიმინდი კი არა, არავითარი ჭირხახული არ მოდის.

ყოველივე ეს შუა აზიის ცხელი და მშრალი ჰავის შედეგია. ეს კიდევ  
არაფერი. ვანჩის ხეობაში, რომელიც ხინგოუდან დარვაზის ქედითაა გა-  
ყოფილი. 2000 მეტრის სიმაღლეზე ყურძენი და ნესვიც ასწრებს დამწი-  
ფებას.

ხინგოუს ხეობა შიშველი მთის კალთებითაა შემოზღუდული.

მაგრამ იმ ტერასებზე, რომლებიც წინინარე ხინგოუს ნაპირებზე ჩამო-  
ლაგებულან, ადამიანის ბეჯით შრომას „უცხო რამ წალკოტი“ შეუქმნია.

ეს წალკოტი თაჯიკთა სოფელია.

მთლიანი თიხით აგებული ბანიანი სახლები ბალ-ბოსტნებით და ჭირ-  
ნახულის ნათესებითაა გარემოცული. სოფლებში გუშაგებივით ატუზულან  
ტანწერწეჭა ალვის ხეები და ვერხვები; მწირ ნიადაგთან ადამიანის შე-  
უპოვარ ბრძოლას ადასტურებენ ნათესებედან აკრეფილი ქვის ტროფები  
და წესიერ არხთა ქსელი.

ხუროთმოძღვრული სიღარიბის მიუხედავად, თავიკთა სოფელი მაინც არაა თავისებურ გემოვნებას მოკლებული... აქ თქვენ ხედავთ ბანიანი სახლების, ვიწრო არხების და ვაშლ-კაკლის ხეების შეხამებას.

როგორც შემდგომ გავიგეთ, დაახლოვებით ასეთივე კოლორიტი ახასიათებს ზანგეზურის სოფლებს სომხეთში.

სიცოცხლით საესეა ხინგოუს ხეობა. მდინარის ნაპირებზე ხშირად ვხედავთ მუშაობით გართულ ოქროს მადიებლებს. აქ სოფლებში ყველგან გამეფებულია შრომა, გარჯა, მუყაითობა.

ლოჯირქ, ყალა-ი-ლოჯირქ, რეხჩ, სანგვორ, არზინგ,—აი ხინგოუს ხეობის ის სოფლები, ანუ ყიშღალები, რომლებშიც ჩვენ შეჩერება მოგვიხდა.

ამ სოფლებში, სხვათა შორის, ჩვენ მოვახერხეთ ცოტაოდნად მაინც თავიკების ყოფაცხოვრების გაცნობა.

თავიკები ჩინელებივით ბინადარი და მშრომელი ხალხია. მიწის პაწია ნავლეჯების მუყაითი დამუშავებით პოულობენ ისინი საჭირო საკვებს: პურს, ვაშლს, კარტოფილს... შრომა თითქმის თანაბრადაა განაწილებული მამაკაცსა და ქალს შორის. საერთოდ, ქალი აქ იმდენად არაა უფლებრივად დაჩაგრული, რამდენადაც აღმოსავლეთის სხვა მაჰმადიანებს შორის... აქაური ქალები ჩადრს არ ატარებენ, თუმცა უცხოთან შეხვედრას მაინც გაურბიან და მათთან მორიდებით იქცევიან. პამირის უგზობასთან და კარჩაკეტილობასთან დაკავშირებით, თავიკებს შორის განვითარებულია შინამრეწველობა. შალის საქსოვი დაზგები თავიკისტანში დაახლოვებით იმავე ტიპისაა, როგორც სვანების, ოსების, ხევისურებისა და კავკასიონის სხვა მთიელებისა.

მეტად საყურადღებოა თავიკური წინდები მხატვრული თვალსაზრისით. ქსოვის მოძველებული წესის მიუხედავად (ქსოვენ ხის, და არა რკინის ჩხირებით), თავიკური წინდა ხალხურა ხელოვნების უაღრესად ლამაზ ნაწარმოებს წარმოადგენს. ამავე დროს, ყურადღების ღირსია, ის გარემოება, რომ წინდების მოხაზულობაში არაერთი შაბლონი არ არსებობს, და ყოველ ხეობას განსაკუთრებული სტილი ახასიათებს. განთქმული, მაგალითად, ვანჩისა და ხოროლის წინდები.

სოფ. არზინგში ჩვენ დავგვხვდა „ვაქილი“<sup>1)</sup> და ახალგაზრდა, სუფთად ჩაცმული თავიკი, რომელიც ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი გამოდგა. ორივენი მოუთმენლად ელოდენ ექსპედიციის მოსვლას და სიხარულით მოგვეგებნენ.

საუბარი თავიკების რელიგიას შეეხო.

— ჩვენ, თავიკები, მაჰმადის რჯულს ვატარებთ, მაგრამ მაინც სხვა მაჰმადიანებისაგან განვსხვავდებით,—გვითხრა მასწავლებელმა

— რით?

— ჩვენ, თავიკები, ვაღმერთებთ ცოცხალ მაჰმადს,—ალა-ხანს!

— ცოცხალ მაჰმადს?!

<sup>1)</sup> ვაქილი დაახლოვებით ჩვენებურ მამასახლისს უდრის. ამაჰმად ვაქილს უწოდებენ თემსაბჭოს წევრს.



—დიდი! ალა-ხანი ანუ ისმაილი ჰქვია. მისი ბინაა ქალაქი ბომბეი, ინდოეთში.

საუბრიდან გამოირკვა, რომ თაჯიკების „ცოცხალი მაჰმადი“ ყოველწლიურად იღებს ხარკს საკუთარი თაყვანისმცემლებისაგან ოქროთი. ის თაჯიკი, რომელიც საკუთარი თვალით პირადად ნახავს ალა-ხანს, პატივსაცემ და წმინდან კაცად ითვლება თანამემამულეებს შორის.

შემდგომ, როდესაც პამირიდან დავბრუნდი, შესაძლებლობა მომეცა, უფრო დაწვრილებით გამეგო „ცოცხალი მაჰმადის“ რაობა.

თანამედროვე ალა-ხანის რომელიღაც წინაპარი მაჰმადის პირდაპირი ხაზის შთამომავალი ყოვილა. ალა-ხანის თაყვანისმცემლები მრავლად მოიპოვებიან თაჯიკისტანში, ავღანისტანში და აღმოსავლეთ სპარსეთში.

ახლანდელ ალა-ხანს, თავისი მამის მზრუნველობის მეოხებით, უმაღლესი განათლება მიუღია ინგლისში, დაუმთავრებია ოქსფორდის უნივერსიტეტი და ევროპულ კულტურას დასწაფებია. ის ზმირი სტუმარია პარიზისა, ლონდონისა და სხვ.

მშვენიერი სასახლე ჰქონია ალა-ხანს ბომბეიში. „ცოცხალი მაჰმადი“ საუკეთესო ფირმების ავტომობილებით სარგებლობს.

რომელიღაც ინგლისურ ჟურნალში აღწერილი ყოფილა თაჯიკების „ღმერთის“ გამოსვლა ოფიციალურ ბანკეტზე, სადაც იგი ყვავილთა გვირგვინებით მორთული აცნობებდა დამსწრეთ, რომ მისი მიმდევრობის რაოდენობა მილიონს უდრის.

არ ვიცი, მართლა იყო თუ არა ანეთი სახის წერილი მოთავსებული რომელიმე ინგლისურ ჟურნალში, ყოველ შემთხვევაში, ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც აღმოსავლეთის საკითხში რელიგიურ ფანატიზმს ყოველთვის საკუთარი სარგებლობისათვის იყენებდა, ამ წერილით ააშკარავებს თავის პოლიტიკას. აშკარაა, რომ „ცოცხალი მაჰმადის“ ყოფნა ინგლისის კოლონიურ ქალაქში საკმაოდ სასიამოვნო მოვლენად მიიჩნადა „ბრიტანეთის ლომს“: ალა-ხანის კულტი მისთვის იმდენადვე ხელაყრელია, რამდენადაც ბუდიზმი ინდოეთში, ლამაიზმი—ტიბეტში და ვახაბიზმი—არაბეთში.

საბედნიეროდ, მე შევთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ინგლისური პრესაც კი გულდასპით ლაპარაკობს ალა-ხანის კულტის შესახებ და 1927 წ. კონოქკაპედიციის მეთაურის წიგნში ალა-ხანის ფოტოგრაფიული სურათიც კი ვნახე<sup>1)</sup>.

საბჭოთა თაჯიკისტანში ალა-ხანის კულტი უკვე გადაგვარების გზაზეა დამდგარი. მართალია, არის ძველი თაობა, რომელიც ცდილობს მოწამლოს ახალგაზრდობა, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე დაეწაფა ცოდნას და თაჯიკების ფორმით ნაციონალური, შინაარსით კი სოციალისტური კულტურა დინამიკურ განვითარებას განიცდის.

ქ. სტალინბადი ის მნათობია, რომელიც შუქს ფენს კულტურულად ჩამორჩენილ თაჯიკისტანს და უქმნის მას ბრწყინვალე მომავალს.

<sup>1)</sup> Ерофеев—„По крыше мира“.

მაგრამ როგორი ბრძოლა გამოიარა თავიკთა ერმა, სანამ ამ მნათობს და მის შუქს მოიპოვებდა?!

1920 წლამდის თავიკისტანი ბუხარის ემირს ემორჩილებოდა. 1920 წლის სექტემბერში ხალხი, ოქტომბრის მონაპოვარით წელმომავრებული, აჯანყდა. მან წითელი არმიის დახმარებით, რომელსაც სათავეში ედგა ამხ. ფრუნზე, ბრძანებლობის ტახტიდან ჩამოაგდო ბუხარის ემირი.

ასე დაარსდა ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა. მაგრამ ბუხარის რევოლუციამ ისე სწრაფად ვერ გარდაქმნა ამ ქვეყნის სოციალური წყობა, ვინაიდან ემირის დამხობის შემდეგ ახალ რესპუბლიკას სათავეში „ჯადი-ღური პარტია“ ჩაუდგა, ხოლო მართვა-გამგეობა ისევ მოხუკებს დარჩათ.

ამას ზედ დაერთო ბანდიტიზმი, რომლის „საუკეთესო“ წარმომადგენლები იყვნენ: იბრაჰიმ-ბეგი და ინგლისის ლაქია, თურქეთის ყოფილ გენერალი ენვერ-ფაშა, „გაზევათის“ (სარწმუნოებრივი ომი) ნილაბის ქვეშ ისინი ცდილობდნენ დაემალათ მის უკან ატუხული იმპერიალიზმის ნამდვილი სახე. ცარცვადენ და ახორბედენ მშრომელ მოსახლეობას, ეს უკანასკნელი კი საბჭოთა მთაფრობას ემხრობოდა.

1922 წელს წითელმა არმიამ, თავიკების ნებაყოფილობითი რაზმების დახმარებით, ლახვარი ჩასცა ბანდიტებს ენვერ-ფაშის მოკვლით და მისი ჯარის დამარცხებით.

1924 წელს შუა აზიაში ჩამოყალიბდა უზბეკისტანის და თურქმენისტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. თავიკისტანი შეადგენდა უზბეკისტანის რესპუბლიკის ავტონომიურ ოლქს და შეიცავდა: ბუხარის საემიროს აღმოსავლეთ ნაწილს, სამარყანდის ოლქის სამხრეთ რაიონებს და აგრეთვე მთელ პამირს, ანუ მთიან ბადახშანს.

თავიკისტანის სახალხო მეურნეობის აღდგენასთან და მოსახლეობის საწარმოო შრომაში ჩაბმასთან დაკავშირებით, ნიადაგი გამოეცალა ბასმაჩების თარეშს. 1926 წელს ბანდიტიზმი საბოლოოდ დამარცხდა, ხოლო მისი მეთაური იბრაჰიმ-ბეგი დატყვევებულ იქნა.

1929 წელს თავიკისტანების საბჭოების III განსაკუთრებულმა ყრილობამ გამოიტანა დადგენილება საკუთრივ თავიკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების შესახებ, რომელიც სწორუფლებიან წევრად შევიდა საბჭოთა კავშირში.

აქედან დაიწყო თავიკისტანის გეგმიანი კულტურულ-ეკონომიური განითარება.

საბჭოთა პამირი, ე. ი. თავიკისტანში შემაჯავლი მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი, თავისი ბუნებრივი პირობების გამო, საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ კუთხეთა რიცხვს ეკუთვნოდა.

მართალია, ხინგოუს ხეობა არ შედის მთიან ბადახშანში, მაგრამ თავისი ბუნებრივი და ისტორიული პირობებით განუყრელია მისგან. ამიტომ მისი გაცნობა ბადახშანსაც ვაგვაცნობს.

ხინგოუს ხეობა, რომელიც მეფის და ემირის დროს სავსებით მოკლებული იყო ზრუნვას ხელისუფლების მიერ, ამჟამად სრულიად სხვა მდგომარეობაში იმყოფება.

მთელი ხეობა უკვე უზრუნველყოფილია სკოლების და საექიმო წერ-  
ტების სათანადო ქსელით. ზოგიერთ სოფელში (მაგ. ლოჯირქში) ჩამოყა-  
ლიბებულია სანიმუშო კოლმეურნეობები, რომლებიც მაგალითს აძლევენ  
ლარბ გლეხობას და უმტკიცებენ მას მსხვილი სოციალისტური მეურნეობის  
და კოლექტიური შრომის უპირატესობას დაქუცმაცებულ კერძო მეურნეო-  
ბასთან შედარებით.

ლოჯირქე გასვლის დროს ჩვენ შევხვდით ახალგაზრდა თაჯიკს, რო-  
მელიც გამალბებული გარბოდა ილღიაში ამოჩრილი სქელი პორტფელით.

— პორტფელი პამირზე!

მაგრამ ჩვენი გაოცებასავსებით გაქარწყლდა, როდესაც ვაფიგეთ, რომ  
ეს ახალგაზრდა ლოჯირქის კოლმეურნეობის მდივანი ყოფილა.

თაჯიკების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხინ-  
გოუს ხეობაში ჩამოყალიბებულია ოქროსმამიებელთა არტელი, რაც საწარ-  
მოო შრომაში აბამს ლარბ გლეხობას.

არტელები, რომლებსაც ჩვენ გზადგზა ვხვდებით, ემადლიერებიან  
საარტელო შრომის წესს. მოპოვებულ ოქროს თაჯიკები ცვლიან საჭირო  
საგნებზე და სურსათზე „СЮЗВОИТО“-ს მაღაზიაში.

თაჯიკების დაუძინებელი მტერია ტროპიკული მალარია, რომელიც  
მძინეობებს ხინგოუს ხეობის ყველა სოფლებში, გარდა ორისა. ეს ორი  
სოფელია: არზინკი და ფაშემლარი, რომლებიც მალარიისათვის მიუწვდო-  
მელ სიმაღლეზე (2600 მეტრ.) მდებარეობენ.

ხინგოუს ხეობის უმაღლესი და უკანასკნელი სოფელია ფაშემლარი.  
აქ უკვე ვაშლიც ვეღარ ზარობს. ფაშემლარი ჩვენი ექსპედიციის საპრდნობი  
წერტია: აქედან იწყება დაუსახლებელი ხეობები და მთები.

ჩვენ იქ დავბანაკდით, სადაც ერთმანეთს შეერთვიან საღრუნი და  
ლარმო.

მდინარე ლარმოს ყინვარული ვარცლისებრი ხეობა ის გზაა, რომლი-  
თაც ჩვენ ლარმის კვანძს უნდა მივუდგეთ.

## ლარმოს კვანძი.

ფაშემლარის და არზინკის მიდამოებიდან აღმოსავლეთის მიმართულე-  
ბით მოჩანს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი ლარძო, მარადი  
თოვლით შემოსილი. მთა ზღვის დონიდან 7495 მეტრის სიმაღლეზე  
ამართული და ამგვარად თითქმის ორთ კილომეტრით ჭარბობს კავკასიო-  
ნის და ევროპის უმაღლეს მწვერვალს იალბუზს.

მთა ლარმო მდებარეობს მეცნიერებათა აკადემიის სახელობის ქედზე,  
რომელსაც ამ მთის მახლობლად უერთდებიან პეტრე I-ის და ლარვაზის  
ქედები. ლარმოს ირგვლივ შემჭიდრობულან უზარმაზარი ალპიური მყი-  
ნვარები: ფედჩენკო, თანიმასი, ბივაკი, ლარმო, განდო, ფორთამ-ბეკი,  
მუშკეტოვის და გეოგრაფიული საზოგადოების ყინვარები.

ამ გარემოების მეოხებით, რთული ზედაპირის მქონე ლარმოს მარადი  
თოვლ-ყინულით დაფარული რაიონი მკვლევარებისათვის საინტერესო და



თანაც ძნელ ამოცანად იქცა. მიუდგომლობა და ალპიური ბუნების სიმკაცრე მეტად აფერხებენ ამ რაიონის მორფოტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ შეწავლას. ამ სიძნელის გამო, ლარმოს მთის აბსოლუტური სიმაღლის გაზომვამ, გერმანული ექსპედიციის ტოპოგრაფმა ფინსტერვალდერმა 1928 წელს სსენებულ რაიონს რუკაზე „ლარმოს კვანძი“ წააწერა.

ლარვახის 1932 წლის ექსპედიციის ერთერთ და მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ლარმოს კვანძის ტოპოგრაფიული და გეოზოოგოლოგიური შესწავლა. მთავლელთა ჯგუფი ამ საკითხის გადაწყვეტის დროს პრაქტიკულად უნდა დახმარებოდა ფოტო-თეოდოლიტიან გეოდეზიურ რაზმს და გეოლოგებს ლარმოს რაიონის დათვალიერებასა და შესწავლაში.

22 აგვისტოს ექსპედიციის ძირითადი ბანაკიდან, რომელიც ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა, ლარმოს ყინვარისაკენ გაემართა მცირე ქარავანი. ამ ქარავანში შედიოდა ხუთი მძიმედ დატვირთული ცხენი, ორი ფაშემღარელი თაჯიკი: ნაბი და ნაბოტ და ოთხი მთავსეული.

ლარმოს უზარმაზარი ყინვარის კლდედის, 30 კილომეტრის მანძილზე ქარავანი მიდიოდა მდინარე ლარმოს უგზო ხეობით. უგზოობის გამო გვიხდებოდა ცხენების გატარება ხშირ ტყეში, რომელიც ფარავს ხეობის ყველა ვაკეს. თაჯიკებმაც კი ხეირიანად არ იცოდენ გზის ავანჩავანი და საჭირო ხდებოდა გაასვლელის ძებნა ხშირი ტყის ჩიხებში. იქ, სადაც გვიჭირდებოდა მდინარის ნაპილერთან ახლო გავლა, დატვირთულ ცხენებს ფეხები უსხლტებოდათ ციცაბო ფლატეებზე; საბრალო პირუტყვები ხშირად ძირს ეცემოდნენ, გვიხდებოდა მათი განტვირთვა, ფეხზე წამოყენება და ხელახლა დატვირთვა. ამაზე დიდი დრო გვეხარჯებოდა.

სამი ცხენი მდინარის ერთერთ ტოტში გატოპვის დროს მუცლამდის ლამში ჩაეფლო. რომ არ დამხრჩვალყვენ; საჩქაროდ მოვხსენით მთელი ტვირთი და დიდის ტანჯვით ამოვათრიეთ ლამიდან პირუტყვები. ამის გამო სანოვავის მნიშვნელოვანი რაოდენობა დასველდა, ნაწილობრივ კიდევ გაფუჭდა და ლამით აივსო.

ოქროსმაძიებელთა მიერ მიტოვებულ ქოხში ლამისთევის შემდეგ, 23 აგვისტოს განვაგრძეთ ხეობაზე სვლა და ნაშუადღევს 1 საათზე ლარმოყინვარის ლოდებში ჩამარხულ ბოლოს მივადექით.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნაშნავდა ძიზნის მიღწევას. ყინვარ ლარმოს სიგრძე 40 კილომეტრს აღწევს. გამოსაკვლევნი რაიონი ყინვარის სათავეებში მდებარეობს. ამიტომ, წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად, ექსპედიციის მთავარი ალპინისტური ბაზა მოწყობილ უნდა ყოფილიყო ლარმოყინვარის მარჯვენა ნაპირზე, ყინვარის კუდიდან 10-13 კილომეტრის დაშორებით, სადაც, ზღვის დონიდან 3200 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს ვაკე და მყუდრო მოედანი „ჰავო-დარ“.

ვინაიდან 10 კილომეტრის მანძილზე ზურგით 30 ფუთი ტვირთის აზიდვა 6 კაცისათვის (მათ შორის 2 თაჯიკს არც კი უნდოდა ტვირთის აზიდვა) საკმაოდ ძნელი საქმე იყო, ამიტომ იძულებული შევიქნით დატვირთული ცხენები გაგვეტარებია ოღროჩოღრო ყინვარზე.

—დეი, წამოიღონ ბარგი, ვიდრე შეძლებენ!—ასეთი იყო ჩვენი გადაწყვეტილება.

სალაშომდის სულ ხუთიოდე კილომეტრი გაეზარეთ. ერთი ჩვენგანი წინ მიდიოდა და ბარიკადებზეთ აყირავებულ ზორენებს და ლურჯი წყლით სასე ტბებს შორის ცხენისათვის გზას ეძებდა.

ისევ ცხენების წაქცევთ, საპალნის მოხსნა და დატვირთვა.

ყინვარი ლარმო 2-3 კილომეტრიანი სიგანის ყინულის მასად მოცოცავს ვარცლისებურ ხეობაში. ყინვარის ზედაპირი ისეა აწეული-დაწეული, როგორც ზღვა გრიგალის დროს. მთელი ყინვარი, ბოლოდან დაწყებული, 20 კილომეტრის მანძილზე-ლორლით, ქვებით და ლოდებითაა მოფენილი. ალბ-ალაგ სარკეებით მოლიცილიც ტბები ჩამდგარა. მთების დუმილს დრო გამოშვებით არღვევს ქვების ხრიალი, ლოდების ბრახუნი და წყლის შხაპუნი.

მეორე ღამე ქვიან მოედანზე გაეატარეთ. 24 აგვისტოს მოვიკრიფეთ მთელი ძალ ღონე და შუადღისას ხუთივე ცხენით მივადექით ჰავო-დარას.

ჰავო-დარას მოედანი გარემოცულია კლდეებით და ლარმო-ყინვარის სანაპირო მორენით. კლდეებიდან ბროლის სვეტივით ჩამოდგმულამდ. ჰავო-დარას თვალწარმტაცი ჩანჩქერი, რომლის გრიალი და ყეფა აყრუებს არემარეს. მახლობელ ფერდობებზე მწვანე ფარდაგებად შეფენილა ალპური ბალახი და ხედ საჭადრაკო კოჭებივით მოჩანს „არჩას“ კლაკნილი ღეროები.

თაჯიკურ ენაზე სიტყვა „ჰავო“ ჩანჩქერს ნიშნავს, ხოლო „დარა“ წყალს, ანუ მდინარეს.

ჰავო-დარა მართლაც რომ „აუკეთესო საბანაკო ადგილია. ის უზრუნველყოფილია წყლით და შეშით და საკმაოდ ვრცელია იმისათვის, რომ აქ კარები დაიდგას.

ერთადერთ ნაკლს წარმოადგენს ღამი, რომელიც ფარავს მთელ მოედანს და მოკლე ხანში მტვრით გაავსებს კარვებს.

ჰავო-დარას მოედანზე მოსვლისას ჩვენ დაგვხვდა ღამზე პამირის მთების მბრძანებლის, ჯიქის, თათების აღნაბეჭდი.

რვაფუთიანი „კატუნიას“ მეზობლობა, სიმართლე უნდა ითქვას, მაინცადამაინც სასიამოვნო არაა. საბედნიეროდ, ჯიქი იმდენად ფრთხილია, რომ მხოლოდ უკიდურესი შიშის დროს თუ გაბედავს ადამიანზე თავდასხმას.

ჰავო-დარა გადაიქცა ექსპედიციის მუშაობის ცენტრად. აქედან ჯგუფები მიდიოდნენ მთებში 4-6 დღის ვადით და ისევ ბრუნდებოდნენ დასასვენებლად და სათათბიროდ.

2 სექტემბერს ექიმი პ-ნი და ამ წიგნის ავტორი გავედით ჰავო-დარას ბაზიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ჩვენი რეკონოსცირების მიზანი იყო:

ვანჩ-დარას ყინვარის ავლა; სელა პულკოვოა უღელტეხილზე, რომლითაც 1916 წელს ასტრონომი ბელიაევი ვანჩის ხეობაში გადავიდა; გამოკვლევა ლარმოს მთის სამხრეთით მდებარე სივრცისა და ლარმოს მწვერვალზე ასასვლელი გზის ძებნა.

ამ მოგზაურობას თავიდან ბოლომდის ხელს უწყობდა საუცხოვო ამინდი. სხვათა შორის, პამირის დამახასიათებელი თვისებაა მშრალი ჰავა და ხანგრძლივი მოწმენდილი დარი, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს კავკასიონზე. ღრუბელი პამირის ცაზე ზაფხულში განონაკლეს წარმოადგენს. იშვიათად გამოვა ავღრიანი დღე, მაგამ ავღარი სწრაფად გაივლის, და ისევ 2-3 კვირით მშვენიერი ამინდი დგება.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ „ექსკურსია“ დარვაზის თხემისაკენ 6-8 დღეს გასტანს, ამიტომ ჩვენ საკუთარი ზურგით მიგვაქვს 7-8 დღის სანოვაგე; მზათე „შუსტერის ტიპ-ს“ კარავი, პრიმუსი, ქვაბი და სხვა, რაც, ერთად აღებული, მნიშვნელოვან სიმძიმეს წარმოადგენს (დაახლოებით 1,5 ფუტის თვითულისათვის).

გადაგვეთეთ რა ღარმო-ყინვარო, ჩვენ ვანჩ-დარას ხეობის გამოსავალს მივადექით. აქ დავრწმუნდით, რომ ყინვარი ვანჩ-დარა უკვე დიდი ხანია მოსწყდა ღარმო-ყინვარს და მისი კუდი ამ უკანასკელიდან 1 კილომეტრითაა დაშორებული.

რაცე სავსე იყო პამირის მთის თხის ქიიკის უწყსოდ მიყრილ-მოყრილი ვებერთველა რქებით, კარგი რქის სიგრძე ხშირად 7 მტკაველს უდრის. რქებზე მეტ წილად შერჩენილია თავის ქალაც.

მიწიანი მორენით ავღვივართ ვანჩ-დარას ყინვარზე, რომელც ღარმოსავით მთლიანად ქვებშია ჩამარხული.

სალამოს 5 საათამდის მივდივართ და შემდეგ ღამის-განათევად ვჩერდებით 4200 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, იქ, სადაც იწყება სუფთა ყინულოვანი ზედაპირი და ვანჩ-დარას ყინვარი ორად იყოფა: მთავარი ტოტი მიდის აღმოსავლეთიდან, მცირე კი სამხრეთ-დასავლეთიდან.

დილის ყინვამ საკმაოდ ადრე წამოგვაატუნა, წყალი ყველგან ყინულად ქცეულიყო.

აქ პირი აღმოსავლეთისაკენ ვიბრუნეთ.

ფრილო კლდეებით შექრელებული დარვაზის ქედის თოვლიანი ზღუგდე ამ ადგილებში თითქმის მიუვალა.

მხოლოდ იქ, სადაც იწყება ვანჩ-დარა, მოჩანს ამ ზღუდენზე გადასასვლელი ჩაღრმავება — ესაა თვით პულკოვოს უღელტეხილი.

გზად გვხვდება ნაპრალები მთელი თავიანთი სიდიადით: შავბნელი სიღრმით, გვეოღზე ჩამოშვებული გაჭვირვალე ყინულის ნამსხვრევებით.

ნაპრალებს ჯერ გადავაბიჯებთ, შემდეგ კი ვახტებით. სახტომ ხაპრალებს მისდევს უფრო განიერი ნაპრალები, სადაც „ხიდებით“ სარგებლობა გვჭირდება. ბიფათის თავიდან აცილების მიზნით, თოკით ერთმანეთს გადავებით. შეუმჩნეველად თავი ამოყავით ყინვარდნილში, სადაც ალაგ-ალაგ წერაყინით საფეხურების კრა გვიხდება. საშიშ ადგილებში თოკის შემწეობით, რიგრიგობით ერთმანეთს ვიცავთ. ეს ხდება თოვლში წერაყინის ჩარქმით და ზედ თოკის გამოდებით.

განსაკუთრებით ძნელია ორმაგ ნაპრალებზე გადასვლა. ესაა წყვილი უფსკრული, გამყოფი ყინულის თხელი ტიხრით. თოკის დაცვით წიხ მავალი გადახტება ამ „ტიხრის“ ვიწრო თხემზე, შემდეგ, წონასწორობის

დაცვიტ, გაივლის რამდენიმე მეტრის მანძილს ამ „ბეწვის ზიდზე“ და მოხერხებულ ადგილებზე მეორე უფსკრულსაც გადაახტება. რაკი სამშვიდობოს გაეა, ის ჩაარტობს წერაყინს და მის ტარზე მოხვეული თოკით იცავს მეორე მთასვლელს, რომელიც იმავე წესით გადადის.

ღია ნაპრალების შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ფარულორმოებნიანი, თოვლიანი მიხდორი იწყება. აქ უკვე ნეტი სიფრთხილეა საჭირო. დაუშვებელია ნაბიჯის გადადგმაც კი, თუ წინასწარ წერაყინის წვეტით არ შეამოწმე ყამირი... ეს იმიტომ ხდება, რომ უხილავ ნაპრალზე თოვლის ფენას ყოველთვის კი არ ძალუძს გაუძლოს ადამიანის სიმძიმეს, შეიძლება ჩაინგრეს და მაშინ... ნაპრალში ჩავარდნილ მთასვლელს სიკვდილი მოელის. უკეთეს შემთხვევაში, თუ მას მისდევინ თოკით მიბმული, ალპინიზმის ხელოვნებაში დაოსტატებულ რამხანაგები, მას მოუხდება თოკზე დაკიდებულად ყოფნა რამდენიმე წუთის განმავლობაში.

არა ერთხელ ჩაშლილა მარცვლოვანი თოვლი წერაყინის წვეტის ქვეშ და გამოუჩენია პატარა შავი ფანჯარა, რომლითაც 40 მეტრის სიღრმეში ჩახიხდა.

საღამოს 5 საათია.

ჩრდილი ყაბარდოს ნაბადივით ეხურება თოვლიან მიხდორს. ჯერ ისევ ლაპლაპებენ მაღალი ნწვერვალნი, ცა ჯერ ისევ ლაქვარდია, მაგრამ უკვე ყინავს, და თანდათან ხმას იკმინდავენ კლდეებზე ჩამონაცრემლი ლანქერის წყლები. მიცვალებულის ფერი გადაპკრავს ჩრდილში მოქცეულ თოვლს. სახარელია ალპიური სამყარო მაშინ, როდესაც მას არ აშუქებს უბადლო მზე...

ჩენი ბანაკი თოვლიანი ველის ჩრდილო ნაპირზე გაიმართა, ვინაიდან აქ მოიპოვება კარავის დასადგმელად საჭირო ქვები და წყალი.

ეს ბანაკი ზღვის დონიდან 5000 მეტრზე მდებარეობს, ე. ი. სწორედ ჩენი მყინვარწვერის თხემის სიმაღლეზე, მაგრამ პამირისათვის 5000 მეტრი მცირე სიმაღლეა.

რას ნიშნავს 5000 მეტრი იქ, სადაც 6—7000 მეტრიანი მწვერვალები ათეულობით და ასეულობით დაითვლება!

მიუხედავად ამისა, რადგანაც ჰაერის წნევა ერთსადაიმავე სიმაღლეზე დაახლოებით ყველგან ერთიდაიგივია, ამიტომ პამირზეც ძნელია 5000 მეტრის სიმაღლეზე ძილი. ჰაერი ისედაც არაა საკმარისი, ხოლო მით უმეტეს „შუსტერის“ უჯრისებურ კარავში.

სამართლიანად აღნიშნავენ შუა აზიის ძველი მოგზაურები, 5.000 მეტრზე და უფრო მეტ სიმაღლეზე ღამისთევას მოსდევს ადამიანის სხეულის მოდუნება, ხალისის წართმევა, უძილობა, გაძლიერებული სუნთქვა და თავის ტკივილი.

დაახლოებით ამასვე განვიცდიდით ჩვენც ვანჩ-დარას თოვლიან მიხდორზე ღამისთევას დროს.

ერთადერთი წამალი მათ წინააღმდეგ არის აკლიმატიზაცია, ე. ი. მნიშვნელოვან სიმაღლეებზე რაციონალური ცხოვრებით გათხელებულ ჰაერთან შეგუება. სიმაღლის ამტანობის გამოუმუშავება.



წელა მიტოცავს ღამე!

დილის 10 საათია.

ჩვენ უკვე პულკოვოს უღელტეხილზე ვდგავართ.

აქ ამოსვლის დროს არაერთი სიმწნელე არ შეგვხვებდრია, პულკოვოს უღელტეხილი, თავისი 5.200 მეტრიანი სიმაღლის მიუხედავად, მეტად ადვილი და მოხერხებული უღელტეხილია.

დარვაზის ქედდან გაშვებული მალლობი ტოტები ზღუდავენ პანორამას, რომელიც მოჩანს პულკოვოს უღელტეხილიდან სამხრეთის მიმართულებით.

მაგრამ მაინც თვალი მოვკარით რუმანის ლურჯი კლდეებით ნაგებ მთარეხილს, ღოგის იაზგულონისა და ვანჩის ხეობებს შორის.

უფრო ახლო ყირღიზული სარკოფაგით ჩაშავებულა ობი-მაზარის ხეობა.

ჩვენ ვანჩის ხეობის კარის ზღურბლზე ვიწყობებით. თუმარჯვედ ვივლით ერთ დღეში ჩავალთ იქ, სადაც ახლა ყურძნითა და ნესვით ძღვებიან, სადაც დღეს ცხოვრება და გამეფებულა ტროპიკული მალარია.

არა, ჩვენი გზა იქით არ მიდის.

ჩვენი ძირითადი დავალების შესასრულებლად სრულიადაც არ იყო საჭირო პულკოვოს უღელტეხილზე ამოსვლა. ღარმოს კლიტის გასაღები უნდა იძებნოს უფრო ჩრდილოეთით, აგერ იქით, სადაც მაღალი კლდოვანი ქედი უნაგირის მსგავსი ჩახნექილებით გაბობილა. გადავწყვიტეთ იქ ასვლა.

ამავე დღის ნაშუადღევს სამ საათზე ვიდექით კლდოვან ქედზე, რომელიც დასცქერის შოკალსკის სახელობის ყინვარს. უღელტეხილი, რომელსაც ჩვენ ამ ქედზე მივავაგებით, ზღვის დონიდან 5400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქედან მოგვიხდა არემარის დათვალიერების მიზნით ასვლა მახლობელ კლდოვან მწვერვალზე (5500 მეტრ.), რომელიც ამავე სერის თხემზე მდებარეობს. მწვერვალიდან გადაშლილმა სანახაობამ დაადასტურა და შეავსო წინასწარი მოსახრებები, რომლებიც ჩვენ გამოვთქვით ადრე, ძველი მასალების საფუძველზე.

დარვაზის ქედები თავისი შეერთებით ქმნიან რკალად მოხრულ მაღალ ზღუდეს, რომლის საშუალო სიმაღლე 6000 მეტრს უდრის.

დიადი რკალის კალდეებიდან ღარმო უღელტეხილისაკენ ჩადის ოთხი ყინვარი: ვანჩ-დარა, შოკალსკის, უსახელო და ვავილოვის. მათ შორის ყველაზე უფრო ჩრდილოეთით ვავილოვის ყინვარი ძღვებარეობს, ყველაზე სამხრეთით კი ვანჩ-დარა. სივრცე, რომელიც ამ ოთხ ყინვარს უჭირავს, ჯერ არცერთი ტობოგრაფის მიერ არ გადაღებულა. ფინსტერვალდერის 1928 წ. ფოტოთეოდოლოგიური გადაღება ზემოხსენებულ რკალის თხემზე ჩერდება და თვით თხემიც არაა სათანადო სიზუსტით გადაღებული.

ფინსტერვალდერის რუკაზე, ღარმოს მწვერვალის სამხრეთით, მეცნიერებათა აკადემიის ქედის თხემზე აღნიშნულია უნაგირა, სიმაღლით 6070 მეტრი და წარწერით: „ღარმოს ხეობაში“. ასეთივე წარწერით აღნიშნულია უფრო სამხრეთით მეორე უღელტეხილი, სიმაღლით 5500 მეტრი. ამხ.

ამხ. კრილენკო და ზარხაში გასული წლის მოგზაურობის მასალის საფუძველზე ფიქრობენ, რომ გზა ამ უღელტეხილისაკენ უნდა იძებნოს საძლაც ყინვარ ვაჩ-დარას სამხრეთით.

ამ მოსაზრებას ასაბუთებდენ იმ გარემოებით, რომ ვავილოვის ყინვარი ლარმოს მთის ძირშივე სერიტაა შემოფარგლული, ხოლო შოკალსკის და უსახელო ყინვარები მათ მოკლე ეჩვენათ, ასე რომ ეგონათ ისინი ვერ აღწევდენ აკადემიის ქედამდის. მაგრამ აქ დავიწყებულ იქნა ლარმოს რაიონის ოროგრაფიული სქემის მთავარი პირობა, სახელდობრ: მეცნიერებათა აკადემიისა და დარვაზის ქედების თხემის წყალგასაყოფთა ძთლიანობა. ამ პირობის ძალით, გეუძლებელია, რომ ქედების კვანძში მოქცულ დარვაზის კონცხის (6815 მ.) ჩრდილოეთით აკადემიის ქედს ჰქონდეს მისავალი ვაჩ-ჩის სიატემის ყინვარიდან, როგორც ზემოხსენებულ ამხანაგებ; ეგონათ.

ახალი უღელტეხილიდან (5400 მ.) და მასთან ამართული კლდოვანი კონცხიდან გადაშლილმა სანახაობამ ნათელყო, რომ გზა აღნიშნული წერტილისაკენ (უღელტეხილები გერმანულ რუკაზე სიმალლის ნიშნებით: 6070 და 5500) უნდა იძებნოს სწორედ შოკალსკის ყინვარზე და აგრეთვე იმ ყინვარზე, რომელიც მოქცეულია ვავილოვის და შოკალსკის უღელტეხილებს შორის.

შოკალსკის ყინვარი სათავეებში უზარმაზარ ქვაბობს წარმოადგენს. აკადემიის ქედის 6000 მეტრიანი კედელი აქ თითქმის ვერტიკალური თოვლყინულითაა შემოსილი. ეს სანახაობა განცვიფრებას იწვევს თავისი სიდიადით და ცენტრალური აზიის ტიპურ თოვლები ან პეიზაჟს წარმოადგენს.

შოკალსკის თოვლიანი ქვაბობის ძირიდან აკადემიის თხემზე ასვლის შესაძლებლობა მხოლოდ ერთ ადგილზე არსებობს. სააწუხაროდ, ის ფართო უნაგირა, რომელიც ჩვენი ორიენტაციის თანახმად ფინსტერვალდერის 5500 მეტრიან უღელტეხილს უდრის, აქედან სავსებით მიუვალაია. შესაძლებელია, რომ მცირე უნაგირა, რომელსაც აქვს მისავალი (ძალიან ძნელი) შოკალსკის ქვაბებიდან ბივაჯის ყინვარზეც იძლევა სასვლელს. მაშინ ფინსტერვალდერის სამხრეთი უღელტეხილის საკითხი სავსებით ამოიწურებოდა.

ახალი უღელტეხილიდან მოჩანს თვით ლარმოს მთაც.

ამ მხრიდან ის ისეთივე მიუვალი ჩანს, როგორც დასავლეთიდან, თუმცა ეს შეიძლება პერსპექტიული დამახინჯების ბრალი იყოს. ამ დასკვნებით ვპრუნდებით ახალი უღელტეხილიდან.

5 სექტემბრის საღამოს ჩვენ ჯაკე ჰავო-დარას მივალწიეთ. ჰავო-დარაზე ამოვიდენ ტოპოგრაფები და გეოლოგები. იწყება ნამდილი მუშაობა.

## ზ ვ ა ვ ე ბ ი ს ს ა მ შ ა რ ო

12 სექტემბერს მთელი დღე წვიმდა. მეორე დღეს დათოვა; პაპირის უღრუბლო ცა ლეჩაქივით მოეჩვია მწვერვალებს. ყეფს და ღრინავს მარად ხალისიანი ჰავო-დარას ჩანჩქერი.

11 საათზე პროფ. შჩერბაკოვი და ანსტრიქონების ავტორი წამოვიდით ბაზიდან. მხიარული უზბეკი სადირი, რომელიც მარტო რჩება ჰავო-დარა-

ზე, შეგვეხვეწა მიგვეცა გატენილი შაშხანა, ვინაიდან, თაჯიკების მიერ მო-  
ყოლილი ამბების გავლენით, მას „ფალანგის“, ე. ი. ჯიქის შიში ჩაუვარდა  
გულში.

უარი ვერ ვუთხარით. სადირი დიდხანს იდგა მორენაზე წითლად აფრი-  
ალებული დროშის გვერდით და გამოსამშვიდობებლად ხელსახოცს გვიქ-  
ნევდა.

მალე ყინულის ზინებმა, რომლების ძირშიც ჩვენ მივდიოდით, დაფარა  
ჰავო დარა და სადირის ფიგურაც. ღარმო-ყინვარის შუაგულზე გავდივართ და  
მოკლე ნაბიჯებით მივდევთ ე. წ. „ღარმოს მთავარ გზატკეცილს“ — შედარე-  
ბით სწორე ზოლს, რომელიც ყინვარის შუაგულს 10 კილომეტრის მანძილ-  
ზე მიჰყვება.

გზადაგზა, ბუსოლის და საათის დახმარებით, მარტივ გადაღებას ვაწარ-  
მოებთ.

ღარმოს რაიონი უაღრესად საყურადღებოა გეოლოგიურად. ოდესღაც  
იქ, სადაც ახლა ჰამირის „ბანია“ ამართული, ოკეანეს ტალღები ქანაობ-  
დნენ. „გეოსინკლინალურ“ ზღვაში წარმოებდა დანალექი ქანების შექმნა.  
ათასი და მილიონი წლების გამნავლობაში, ოკეანეს ძირში გროვდებოდა  
აუარებელი მინერალური მასალა, რომელიც ამავე დროს ვეებრეთელა სა-  
საფლაოს წარმოადგენდა. ზღვისძირი ნელა ეშვებოდა ქვევით და მან მი-  
აღწია ისეთ სიღრმეს, სადაც დედამიწის ღრმა ფენებში გავარვარებული  
სითხე თავისი ფიზიკური და ქიმიური ზეგავლენით იწვევდა დანალექი ნი-  
ვთიერების გარდაქმნას. ეს ნივთიერებანი, მაღალი ტემპერატურისა და მი-  
ნერალიზატორ-იარაღების მოქმედების მეოხებით, კრისტალურ აღნაგობას  
იღებდნენ და იცვლიდნენ ქიმიურ შემადგენლობას.

ღარმო-ყინვარის ხეობა უქველესი ჰიდროგრაფიული ქსელის და ყ-  
ვარების მრავალწლიანი ბეჯითი შრომის ნაყოფია. ამ შრომას გამოუცვლია  
უზარმაზარი ხეობები, რომლის გვერდებზეც მოჩანს ამ რაიონის გეოლო-  
გიური კრილი; ღარმოს აუზში შევიძლიათ შეხიშნოთ ქანების მეტამორ-  
ფიული წყება ორი დიდი ანტიკლინალური (ე. ი. აზნექილი) ნაოქის სახით.  
მეტამორფიული წრეების შუაგულში გრანიტის და დიორიტების კრისტა-  
ლური მასივი (ბატოლიტი) იმყოფება.

ამჟამად ღარმოს აუზის გეოლოგიური ყინვარები გადაგვარებას  
განიცდიან და მათ ნაცვლად ახლდება ჰიდროგრაფიული ქსელი. ყინვარე-  
ბისა და მდინარეების ეროზიული მოქმედება ამჟამად აქ შეთავსებულია:  
დიდი ყინვარები განაგრძობენ ვარცლისებური (ლათინური ლ ს ფორმის)  
ხეობებს გაღრმავება-განვითარებას; უფრო მცირე ყინვარული შენაკადე-  
ბი კი უკვე მოწყდნენ ძირითად ყინვარს და მათ მიერ განთავისუფლებული  
ხეობები უკვე განიცდიან მდინარეების მიერ დენუდაციას.

ღარმოს შენაკადთა ხეობები იძლევიან სრულ სურათს იმ გარდაქმნისას  
რომელსაც განიცდის ყინვარული წარმოშობის ხეობა ყინვარის მოსპობის  
შემდეგ.

უაღრესად საყურადღებო და ჰამირისათვის დამახასიათებელი სურათია!

დავუბრუნდეთ ჩვენ მოგზაურობის ამბავს. ყინვარი თანდათან იცვლის სახეს. ყინვარის მთელ ზედაპირზე გაფენილი ქვები აქ უკვე წესიერ და ლამაზ შუა მორენებადაა დამწკრივებული. ლურჯი და მკერცი ყინული თალიანი ნაპრალებითაა გაპობილი. ამ ნაპრალების ძირში შეხეფების სროლით მიექანება მოზრდილი მდინარე, რომელსაც ზოგან ყინულში ლურჯად ჩაზნელებული გვირაბები გაუთხრია. გვხვდება ყინვარული „მაგიდები“, ე. ი. ყინულის წვრილ სვეტზე შესკუპებული ბრტყელი ლოდები. ასეთი ლოდები ჩნდება იმ მიხეზის გამო, რომ ყინულზე მდებარე დიდი ქვა ანელებს თავს ქვეშ მოქცეული ალაგის გადნობას და რაკი ყინვარის ზედაპირი წლების განმავლობაში დნება და დაბლდება, ამიტომ ქვის გარშემო ყინული დნება, თვითონ ქვა კი ყინულის მაღალ ფეხზე რჩება.

აგერ, ვიწრო ნასკლომიდან  $1\frac{1}{2}$ -2 მეტრის სიმაღლეზე ფეთქავს ბუნებრივი შადრევანი.

შადრევანში აღმაცერი მზის სხივები პაწია ცისარტყელას აჩენენ. ყინვარის ზედაპირი მეტად ბრწყინავს, და გვიხდება მუქი მთასელური სათვალეების გაკეთება.

სალამოს 6 საათი იყო, როდესაც მივადექით ბელიაევის და ვავილოვის ყინვარების შესართავს. ბელიაევის ყინვარი უზარმაზარი კიბის მსგავსი ყინვარდნითაა გამოღის ვიწრო კლდეკარიდან და მისი დაძლევა დიდი რაოდენობით მოითხოვს როგორც დროს, ისე ძალღონესაც.

საექვოა, რომ დაღამებამდის მოვასწროთ ამ დევგმირული კიბის ავლა და ტაოპოგრაფების ბანაკამდის მისვლა. თუ ვერ მივასწართ და დავვიღამდა, შეიძლება ვერ ვიპოვოთ ღამის გასათევად მოხერხებული ადგილი. ამიტომ ვამჯობინეთ ყინვართა შესართავში დაიანაკება.

მორენებში ვიპოვეთ ცოტად თუ ბევრად ვაკე ადგილი. ყინულისგან თავის დასაცავად, კარვის ქვეშ მოვაწყეთ ე. წ. სვანური ტახტი, რომელიც წარმოადგენს ფიქლის პრტყელი ნატეხების წყობას სწოოი ზედაპირით. სვანი მონადირეები ხმარობენ ასეთ ლოგინს კლდეებში ღამისთვის დროს და მას ძალიან ოსტატურად აწყობენ.

იმართება კარავი. შიშინს იწყებს პრიმუსი, ჯიუტობს და სუსტად ანთია. თურმე ჩასახრახნი საცობი რეზინის სარჩული ჰაო-დარაზე დაგვრჩენია და პრიმუსში ჰაერი შედის. არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ძნელია თოვლიან მაღლობებში ცხელი სასმელ-საჭმელის გარეშე დიდხანს მუშაობა. მაგრამ გამომგონებლობამ გადაგვარჩინა. რეზინის მაგივრობა გასწია გეოლოგიური ხიმუშებისათვის მიჩენილი წყალგაუვალი პარკის ნახევმა, და პრიმუსიც გაიმართა.

ღამდება. ღამესთან ერთად ყინვაც იწყება, მაგრამ საძილე ტომრების სტუმართმოყვარე წიაღში ყინვა რას დავაკლებს!

13 სექტემბერი სავსე იყო შესანიშნავი ამბებით...

ყინულის ვაკე ზედაპირზე სიარულით მივედით ყინვარდნის ძირთან. ყინულის უზარმაზარი კიბე ჯაგარივით ასვეტილი მრისხანე სერაკებით (ყინულის კონცხები) დაგვეცქერის თავზე. ამ საოცარი კიბის საფეხურები 30-40 მეტრის სიღრმე ნაპრალებითაა ერთმანეთისაგან გაყოფილი. სე-



რაკები სიდიდით კოშკებს უტოლდებიან. აგერ ერთი მათგანი ქარიშხალში მოქცეულ ალვის ხესავით გვერდზე გადახრილა და ჩამონგრევას აპირებს. ნაპრალებში ყრია ცინულის ნამახვრევები. დროგამოშვებით შემოგვესმის ქვების ხრიალი და წაქცეული სერაკების ყრუ გუგუნნი:

ვიწყებთ სვლას.

მწვანე ფერის მკერივი ცინული ალაგ-ალაგ საფეხურების კრას მოითხოვს. წერაყინის ხელეჩოს ქვეშიდან კოცონის ნაპერწკლებივით იფანტება ცინულის ნამცეცები.

ვინაიდან, წინასწარ გამომუშავებული პირობის თანახმად, ტოპოგრაფებს თავისი ძირითადი ბანაკი ბელაივის ცინვარის მარჯვენა გვერდზე უნდა მოეწყოთ, ამიტომ ჩვენ ვცდლობთ მარჯვენა ნაპირისაკენ გზის გაკაფვას. დიდის სიფრთხილით უახლოვდებით კლდის გვერდს, მაგრამ აქ გზას გვილობავს მოულოდნელი დაბრკოლება: კლდეებზე ხელის მოსაკიდებელ წერტილს ვერ იპოვნე. გარდა ამისა, კლდის მოშანდაკებული სიბრტყე ცინვარისაგან საკმაოდ ვანიერი და გრძელი ტბითაა გამოყოფილი.

ჩემი თანამგზავრი დაბლა იცდის, მე კი საფეხურების ქრით 10-15 წუთის განმავლობაში დავდივარ ცინვარდნილზე და მარჯვენა ფერდობისაკენ მისაყალს ვეძებ... ამაოა ძებნა!

მივდივარ ქვევით.

სერაკები მიშლიან თანამგზავრის დანახვას.

—ალო!

—ალო! გზა არის?

—არა!

პროფ. შჩერბაკოვი თავისი განუყრელი გეოლოგიური ჩაქუჩით ხელში ვიწრო ცინულოვან ბაქანზე იდგა. ამ ბაქანზე ჩასასვლელად დაპრჩენოდა ცინულის ვერტიკალურ კედლებში გაშოკირილი 7 საფეხურის ჩავლა.

სხვათა შორის, ბელიაევის ცინვარდნილზე ასვლის დროს ჩვენ ერთი შეცდომა დავუშვიტ: ჩვენ თანამგზავრს წრიაპები არ ჰქონდა, და როდესაც მე შეეთავაზე, ჩემი წრიაპები, მან რატომღაც უარი თქვა. ჩემი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ დამეზარა წრიაპების ამოღება ჩემთვის დაძნელვას ორივე უწრიაპოდ შეეუღღქით.

ახლა კი, როდესაც ჩაზედეთ ცინულის კედელს, მე მივხვდი, რომ შეცვდი. მაგრამ უკვე გვიან იყო. წრიაპები ჩანთაში მქონდა, ხოლო ჩანთა ძირს იყო.

რაც იქნება, იყოს...

ერთი! მარჯვენა ფეხი პირველს საფეხურზე მიდვას: ფეხსაცმლის ძირზე მიქედილი „Tricomi“-ს ტიპის ლურსმნები მორენებზე სიარულისაგან უკვე მოცვეთილია, და ფეხი ცინულზე მიცურავს.

ორი წერაყინის კბილით ცინულზე მობლაუქებული ვადვამ მარცხენა ფეხს მეორე საფეხურზე.

იმავე წამს ორივე ფეხი მისხლტება და მივფრინავ...

ვარდნის დროს უნებლიედ ცინულისაკენ მოვტრიალდი. წერაყინი ცინულს ხვდება და ხელებიდან მივარდება, ორივე ხელი ცინულს ჩავჭიდე, რომ

ჩავარდნა შეევანდლო, — 10 მეტრის მანძილზე ვჩერდები, ვინაიდან ფეხი რა-  
ლაცას მიებჯინა, — ვიწრო ბაქანი აღმოჩნდა...

ამ ბაქანს რომ არ შევეჩერებო, უწრიაპოდ სიარულს შეიძლება ჩემი  
დაღუპვა მოჰყოლოდა. უვნებლად ახლაც ვერ გადავრჩი; ხელებზე კანი გა-  
დამეტყავა და თითები სისხლით შეიღება.

ჩემ ცქერაში ჩემს თანამგზავრსაც ფეხი დაუსხლტა, მაგრამ მშვილო-  
ბიანად გადარჩა.

— მალეა გზა არ არის! მარჯვნიდან უნდა შემოვუაროთ!

ჩავდივართ შუა მორენისკენ.

მივდივართ ისევ აღმა. თან თვალით მარცხნივ გზას ვეძებთ. მაგრამ  
გზა არ ჩანს. სულ ახლოს კი, რალაცა ასიოდე მეტრის მანძილზე, გამა-  
ლიზიანებელი მწვანე ფერდობი მოჩანს.

ამ ფერდობის თავზე უცებ ადამიანის სილუეტი გამოჩნდა.

— ჰეი, ჰეი! გზა საით მიდის!

შევკვირეთ ჩვენ.

— მარცხნივ, მარცხნივ, — იყო პასუხი.

ადამიანი ფერდობზე ჩამოეშვა და სირბილით ჩვენკენ გამოეშურა.

მალე ხაზე ვიცანით, ეს იყო ამხ. სტახ ვანეცკი.

კიდევ ცოტა, და სტახი ჩვენ 30 მეტრას მანძილზე მოგვიახლოვდა. ამ  
30 მეტრის სიგანეზე დაუღია ხახა უზარძაზარ ნაპრალს, რომელიც სტახის  
სიტყვით ამ ყინვარდნილის უძნელესი ალაგია.

ვსხდებით ყინულზე. ვისვენებთ, სანამ ძნელი დაბრკოლებების დაძლე-  
ვას შევუდგებოდეთ. სტახი — გაღმა, ჩვენ — გამოღმა.

სტახისგან ვიგებთ ბელიაევის ყინვაოის ახალ ამბებს.

ტოპოგრაფიული რაზმის მეთაური ამხ. ი. დოროფევი მთელი თავისი  
ჯგუფით წასულა ფოტო-თეოდოლიტურ გადაღებაზე ბელიაევის ყინვარის  
სათავეებში. ბანაკში სტახის დარჩენა კი შემდეგი გარემოებით აიხსნება.

ერთერთი მწვერვალიდან შენიშნულ იქნა რთული ყინვარი, რომელიც  
შეიძლება თავისი სათავეებით მუქ-სუს აუზის ყინვარს, ფორთამ-ბეკს, უკავ-  
შირდებოდეს. ღარძოს აუზიდან ფორთამ-ბეკის ყინვარზე გადასასვლელი  
უღელტეხილის მოძებნას ჩვენი ექსპედიციის მიზნებისათვის უდიდესი მნი-  
შვნელობა აქვს, ვინაიდან სხვაგან ვერსად ვერ მოხერხდა ამ რაიონიდან  
მუქ-სუს აუზთან ტოპოგრაფიული კავშირის დამყარება. ამიტომ აუცილებ-  
ბელია უცნობი ყინვარი, რომელსაც ამიერიდან ლიპსკის სახელობის ყინ-  
ვარი ეწოდა, გამოკვლულ იქნეს სათავეებამდის.

ამ ამოცანის განხორციელება დაევალათ სტახსა და ამ სტრიქონების  
ავტორს. სტახი ბანაკში დარჩა ჩემ მისვლამდის, რეკოგნოსციების დასა-  
წყებად.

ავდივართ ტოპოგრაფთა ბანაკში.

ცა მოიღრუბლა. ცივი ქარი ქრის. თითქმის ყინავს. ნაშუადღევს სამ  
საათზე ბანაკიდან გავდივართ სტახი და მე. სანოვაგიანი ჩანთები გვიმძი-  
მებს ზურგს. ამხ. დოროფევის განკარგულებით, ხვალ. საღამოსვე ბანაკში  
უნდა დავბრუნდეთ.

გრძელი თოვლიანი ფერდობით ავდივართ ბექობზე, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 4.400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ბექობი თოვლითაა დაფარული. თეთრი სპეტაკი ზეწარი ანკარა წყლის პირმოყინული გუბეებითაა ვახეული.

წინ მოჩანს ლიპსკის ყინვარი მისი სამივე ტოტით. ჩრდილო და სამხრეთი ტოტები სათავეებში მიუვალი და საზვავე ზღუდეებითაა შეკრული.

სამაგიეროდ, შუა ტოტის სათავეში მოჩანს ფართო და დაბლებული „უხავირა“ ქედის თხემებზე, რომელიც თოვლიანი ველიდან საკმაოდ ადვილი მისაღწევია.

ესაა ჩვენი რეკოგნოსცირების მიზანი.

გადასცქერის თუ არა ეს უღელტეხილი ფორთამ-ბეკის ყინვარს?

უღელტეხილის მდებარეობა, ამ ქედის თხემის მიმართულება პეტრე დიდის მთავარი ქედის მიმართ საექვოდ ხდის ამ საკითხს.

ეჰ! ცდა ბედის მონახევრე! საჭიროა გასინჯვა...

სიძნელე მდგომარეობს შემდეგში: ლიპსკის ყინვარის შუა ტოტს კაცი ქვემოდან თითქმის ვერ მისწვდება. ეს ყინვარი უზარმაზარ „ყინულოვან ჩანჩქერს“ აჩენს, რომლის დაძლევა ორი დღის მუშაობას მოითხოვს. ჩვენ კი სულ 1½ დღის ვადა ძლივს გვაქვს.

მაშ როგორ მოვიქცეთ?

ვეკითხებით ერთმანეთს და ვეძებთ პასუხს ჩვენს წინ გადაშლილ პანორამაში. მცირეოდენი მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ:

გადავვეყვითა სივანეზე ლიპსკის სამხრეთი ტოტი, ავსულიყავით იმ კლდოვან სერზე, რომელიც ყოფს სამხრეთ ტოტს შუა ტოტისაგან, და მისი თხემიდან გვეცადა შუა ტოტზე შესვლა.

მართალია, სამხრეთ ტოტის გადაკვეთა არც თუ იმდენად მარტივი რამ ჩანდა, მაგრამ მოკლე მანძილი გვაიძულებდა.

დავიწყეთ ჩასვლა ყინვარის მარჯვენა ნაპირისაკენ. თოვლიანი მინდორი ნელა ეშვება ძირს. მინდორი საექვო ზოლებითაა დასერილი. საჭიროა თოკის მოხმარება.

— გადავებათ ახლავე თუ არა?

ვეკითხები სტახს.

— აი, მიკალთ ყინვართან და მაშინ, — ამბობს სტახი.

გერმანული საქარიშხლო წუმწუმით თამბაქოს აჩაღებს თავის ჩიბუხში და წუმწუმას მაწვდის. უცებ, თვალის დახამხამებაში, სტახი ილლიამდის თოვლში იფლობა.

— ნაპრალი! — ყვირის იგი და ხელებით თოვლზე მაგრდება. საჩქაროდ გაწვდილმა წერაყინმა იხსნა იგი ნაპრალის იღუმალი წიალიდან. თქმა აღარ უნდა იმას, რომ მაშინვე თოკით ერთმანეთს გადავებით და წერაყინის ბოლოთი თითოეული ნაბიჯის სინჯვა დავიწყეთ.

მიუხედავად იმისა, 20 ნაბიჯი ვერც კი გავიარეთ, და ჩაჯდომის რიგმა ჩემზე მოაღწია. თოკმა დამაკავა ჩავარდნისაგან.

იწყება ლიპსკის სამხრეთ ტოტის გადაკვეთა.

ეს ყინვარი თითქოს მთლიანად მხოლოდ სიღრუვეს შეიცავს. მთელ მის სიგრძეს აკავებენ უძირო ნაპირები და თხელი ხიდები. ერთდროულად სვლას ორივენი ვერ ვახერხებთ. საჭიროა საიმედო დაცვა თოკით. ფართო ნაპრალებზე გადავდივართ მათში გახილული ჩანგრეული ყინულის სერაკებით. ალაგ-ალაგ გვჭირდება წერაყინით საფეხურების გამოჭრა. წრიაპებს არ ვიკეთებთ, ვინაიდან რომელიმე ჩვენგანის ჩავარდნის დროს მათ შეუძლია ჩავარდნილის ფეხების დაზიანება.

გვხვდება დაფერდებული „ხიდებიც“.

ერთი ასეთი ხიდი საკმაოდ სერიოზულად დამაბრკოლებელიც აღმოჩნდა. ამ ხიდის სისქე 30-40 სანტიმეტრს არ აღემატებოდა. მისი ზედაპირი 60°-ით იყო მარჯვნივ დაქანებული. ფეხი ასეთ დაქანებაზე ვერ მავრდებოდა, და საჭირო იყო ხილზე საფეხურების გამოჭრა.

ხიდი თავისთავადაც მეტად თხელია, და საფეხურების გამოჭრა ხომ სულ დაასუტებს მას. ორივე მხარეზე უცნობ სიღრმეში ჩადის შავ-ბნელი ნაპრალი.

თვალდათვალ ვამოწმებთ ხიდის იმედიანობას.

სხვა გზა არც არის. ჩვენ ვიმყოფებით ორ უფსკრულს შორის, გრძელსა და ვიწრო ნახევარკუნძულზე.

ღამე ხლოვდება.

—იქნება ვაგვიძლოს?!— ვფიქრობთ და ვბედავთ იერიშის მიტანას.

წერაყინს ვიმარჯვებ და ხიდს მივადგები. ვჭრი და თან ვთვლი საფეხურებს. —ერთი, ორი, სამი...

ჩემი ვარაუდით, უკვე ხიდის სუსტ ნაწილს მივალწიე.

უკან ვიხედები:

სტახს თოვლში გრძელად ჩარტობილ წერაყინზე თოკი შემოუხვევია, თვალს არ მაშორებს და მზადაა დამაკავოს, თუ ხიდი ჩაინგრავს.

მარჯვენა ფეხს ვადგამ მესამე საფეხურზე და მეოთხე საფეხურის ტრასს ვიწყებ. მუშაობის დროს ვგრძნობ რომ, მარჯვენა ფეხი საეჭვოდ ჩადის თოვლში... ფრთხილი უკუმიხედვით ვგრძნობ, რომ ფეხმა ჩათხარა ხიდი მთელ სისქეზე...

—ისწრაფე! — მიყვირის სტახი.

კიდევ ორი საჩქაროდ გამოჭრილი საფეხური და... ხიდი უკან დარჩა. სტახიც უვნებლად გამოვიდა.

კლდედის სულ რაღაც 100 მეტრის მანძილია, მაგრამ შემხვედრი სიძნელეები საეჭვოდ ხდის ამარეულ-დარეული ყინვარიდან თავის დაღწევას.

ვაბიჯებთ ყინულის ფირფიტებზე, გადავიცოცხებთ სერაკების დანასავეით მახვილს ნაპირებზე, სადაც ხიდები გვეჭრება, და რიგრიგობით ვიცავთ ერთმანეთს.

სალამოს რ საათი იყო, როდესაც ყინვარის მარცხენა ნაპირს მივადექით. დათოვლილ ყინვარსა და კლდეებს შორის უბესავით ნაპრალი იმყოფება. გერმანულად ასეთ ნაპრალს საკუთარი სახელი აქვს „რანი-კლუფტ“. თოვლზე გაფანტულა კლდიდან ჩამოყრილი ლოდები. ცხადია, აქ ხშირად ცოდნია ქვათა ვარდნა. ასეთ ადგილში დამისთევა სახიფათოა, კლდი-



დან იქნებ ქვა დაგორდეს და კარავს დაეცეს... ამიტომ ვეძებთ ადგილს ცოტა უფრო მოშორებით.

ამოვირჩიეთ ადგილი, კარავიც გავამაგრეთ და თოკ-მოუხსნელად ნაპრალისავენ წყლისთვის დავეშვით.

ნაპრალიდან ცქერის ღროს დაერწმუნდით, რომ კარავი თოვლის ხიდზე გავვიმართავს.

მაგრამ სხვა არჩევანი არ არსებობს: ახლომახლო ეს ერთადერთი ვაკე ბაქანია; ყინვარის დანარჩენი სივრცე დაჯვარულია წვეტიანი სერაკებით.

ხიდი, რომელზეც კარავი დგას, საკმაოდ სქელია. ეს გარემოება გვაიმედებს, მაგრამ ექვებისაგან მაინც თავს ვერ ვიხსნით: ჩაინგრევა თუ არა?—აი ის საკითხი, რომელიც მაშინ გვაინტერესებდა.

—ხვალ დილით ნაპრალის ძირში გამოგვეღვიძება,—ხუმრობით მეუბნება სტახი.

ნაპრალი კი ძალიან ღრმაა, მისი სიღრმე დაახლოებით 30 მეტრს უდრის.

—იცი, რას გეტყვი?—მეუბნება სტახი.—ლოგიკას რომ დავუჯეროთ, ეს ხიდი უკვე რამდენიმე წელია არსებობს და თუ ამ ხნის განმავლობაში არ ჩაინგრა, მაშ, ალბათ ამაღამაც არ უღალატებს ჩვეულებას...

—ალბათ!...—ვეთანხმები სტახს.

მთელი ღამის განმავლობაში ქვემოდან ჰევისმის გრიალ-ხრიალი და, არ გაგიკვირდესთ, ოხვრაცკი. ყინვარის მარტივი მექანიზმი დროგამოშვებით ცნობას გვაწვდის თავისი არსებობის შესახებ. ყინვარი ცხოვრობს, ყინვარი ხმაურობს... გუგუნით ცვივა ნაპრალებში ჩამოტეხილი ყინულის „ლოლუები“ და მინისებრი ჩხრიალით ძირს ენარცხება... ეს უცნაური ხმები ღამე რამდენჯერმე გვადვილებს და თვალწინ გვიხატავს ჩვენს უსუსურობას... ჩვენი კარავი მის ზედაპირზე წერტილს წარმოადგენს.

ყინავს...

14 სექტემბერია.

ქვებზე ვიწყებთ ასვლას, როგორც ამბობენ „ერაი ნაბიჯით წინ, ორით—უკან“, ვინაიდან ქვებს მიდრეკილება აქვთ აგორებისაკენ.

კლდოვან სერზე გასულები, მისი დაკბილული ზურგით ლიპსკის გამყოფი ქედის თხემისაკენ მივფოფხავთ... ვფრთხილობთ ქვა არ დაგვეცეს.

გამყოფი სერი დასაწყისში საკმაოდ დაბალია. ამიტომ ორმა საათმა არც კი გაიარა, ჩვენ რომ იმის თხემზე ავედით. სტახის ალტიმეტრი 4.700 მეტრის სიმაღლეს გვიჩვენებდა.

მაგრამ თხემიდან შუა ყინვარზე ჩასვლა ამ ალაგას სასეხებით შეუძლებელი იყო. უზარმაზარი თოვლის „კარნიზი“, ე. ი. ქარბუქის მიერ შექმნილი ფიფქი თოვლის გამოწვეული კიდე, 3-4 მეტრის მანძილზე გაწეული, მუდმივ მუქარად გადსცქეროდა ციკაბო ფერდობს... ჩვენ თვალწინ ჩაინგრა კარნიზის ნაწილი და გამაყრუებელი გრიალით უფსკრულში ჩაიღება. ფიქრიც კი არ შეიძლებოდა კარნიზის ზემოდან გაათვისა და ჩასვლის შესახებ. კარნიზის ჩამონგრევას ხშირად მოძრაობაში მოყავს უფრო ქვემოთ მდებარე ფერდობების თოვლი, და ჩნდება მძლავრი ზეავი, რომლის წინააღმდეგ მოასვლელი უძრავია...

მაშ, ვცადოთ სერის თხემით დასაველეთისაკენ წასვლა, — იქნება იქით მაინც ვიპოვოთ ჩასასვლელი!

სერის თხემი წვეტიანი კლდეებითაა დაკბილული. უზარმაზარი კარნიზები მისწებებია კლდეებს ჩრდილოეთის მხრიდან. ისინი სსხიფათოდ ხდიან თხემზე სიარულს, და ამიტომ კლდეების სამხრეთისაკენ მიპყრობილ წახნაგებზე გადავდივართ.

მივფოფხავთ... გვხვდება ვიწრო ბაქნები, ბუხრის მიღებივით ამართული ღარები, გადაკვეთავთ თოვლიან და მშრალ ღარებს, ვერტიკალურ ზღუდეებს.

აი, პირველი კონცხის კინკრიხოც.

ბუსოლის შემწვობით ავთვალეთ აზიმუტები, ე. ი. გარიენტირებული წრის კუთხეები რაიონის სხვადასხვა დანახასიათებელი წერტების მიმართ, ავიღეთ მიძართულება მესამე კლდოვან მწვერვალისაკენ და ნახევარი საათის განმავლობაში კლდეებზე ჯამბაზობის შემდეგ, ავედით ამ უკანასკნელის თხემზე.

სიმაღლე—4.900 მეტრი.

საუცხოვო ამინდი ნებას გვაძლევს ვიხილოთ ამ მწვერვალიდან გადაშლილი განსაცვიფრებელი პანორამა. ჩვენ ვზივართ ისე, როგორც სხედან მაყურებლები „ქანდარა“-ზე და ვუმზერთ ღარმოს დიად მიდამოს.

ცაში თამამად ატყორცნილა კალინინის მთა, 7100 მეტრი ზღვის დონიდან! დაუჯერებელ სიმაღლეზე აზიდულა ტრაპეციის მსგავსი კორუენესკაიას მწვერვალი, ფრიალოებით ნაგები მოლოტოვის კონცხი და თვით დევგმირი ღარმო. ასეთია ამ მიდამოს დეკორაცია.

ალმასებად დამტვრეული ბელიაევის ყინვარი, მისი ამოღრმავებული ხეობის შავი და პირქუში კედლები, ლიპსკის გლეტჩერის შავი მორენები და ვავილოვის თეთრი გამზირი. ასეთია ამ შეუდარებელი მიდამოს სცენა.

ღრუბლის განმარტოებული ნაფხრეწი, ღრმა ზღუდიდან რახრახით ჩამოგორებული ზევეები, ჩხავილით მფრენი კილყვავები და სუფთა ჰაერის უხილავ ზვირთებზე მოცეკვავე ქორი, — ესენი არიან მიდამოს დამამშვენებელნი.

უდაბური თოვლეთი... იგი იზიდავს თვალს, იზიდავს გონებას, მაგრამ თავისი შეშხარავი გულგრილობით დაყინულოვანი სიცივიით ხელსაც გვიცრავს, სიკვდილის უჩინარი ხითათი იმალება თითოეულს ნაპრალში, ჩასაფრებულა გამოფიტული კლდის ყველა ღარში და ყველა კონცხებს მიჰტარებია... აი, რატომღა/ ძნელი თოვლში დიდხანს ცხოვრება.

და ისევ მთელი თავისი სფრძე სიგანით თვალწინ გვეხატება საკუთარი თავის უსუსურობა.

ქვას იღებს და ჩრდილოეთისაკენ ისერის ამხ სტახი; რვა წამის შემდეგ გაისმა ყრუ ბრახუნი.

არა, ჩვენ აქ ვერ ჩავალთ.

ეს უღელტბივლი კი იმდენად მოხერხებული და ადვილი მისაწვდომი ჩანს, რომ გული იქითკენ გვეზიდება.

შეღა და ყურძენი!!

მაგრამ ჩვენმა ასულამ დასახული მიზანი ნაწილობრივ ძაინც შეგვასრულეოა. უკვე ექვს ვარეშეა, რომ ეს უღელტეხილი გადადის არა ფორთამბეჭე, როგორც ფიქრობდა ამხ. ი. გ. დოროფევი, არამედ განდოსყინვარზე, რაც ექსპედიციისათვის სრულიად არ არის საინტერესო.

განდო ხომ იმავე ხონგოუს აუზს ეკუთვნის, რომელშიაც შედის ღარმო! ამ დასკვნით, აუცილებელი გაზომვების შემდეგ, ვიწყებთ მწვერვალიდან ჩამოსვლას.

ხელებზე ჩამოკიდებულები, ფეხებით საყრდენ წერტებს ვეძებთ კლდეებში და ნელნელა ვეშვებით დაბლა. დიდი ფიქრია საჭირო კლდეების ქაოსში გზის გასაგნებად. კლდის ნამსხვრევები ხრიალით მიგორავენ ღარებში. ვშველით ერთმანეთს ფეხის ბიჯებაში.

ნაშუადღევს სამ საათზე ჩამოვედით ბანაკში და გავწიეთ ტოპოგრაფების ძირითადი ბაზისაკენ.

გავსცქერით ისევ მთის მწვერვალებს: საღამოა. სიჩუმეა. აგერ ისევ ზვა-ვები... წვებოდენ ზვავები ბელიაევის ქვაბობის კედლებიდან...

აი, უკებ შორეულმა გრგვინვამ მიიზიდა ჩვენი სმენა; უნიბურად მაღლა ავიხედეთ! მაღალ კლდეებზე რომელიღაც კარნიზი ჩამონგრეულიყო, ლოდებთან შეხელილი თოვლი სითხესავით მიჩქრიალვდა ვეებერთელა ღარმოს ძირზე... მის ჩამოსვლასთან ერთად გრგვინვა მატულობდა; თვით ზვავმაც ზომით იმატა... მიხვევ-მოხკევით მოჰყვებოდა ღარებს. წუთიც, და უხარმაზარი მასა საშინელი ჭექით ბელიაევის ყნვაზზე დაეცა.

ფიფქი თოვლი ღრუბლის გაპენტილ ბამბასავით გადიფურჩენა, და მზის სხივებ ერთი წამით სპექტრის ყოველნაირი ფერი აათამაშა მათში...

ნამდვილი ზვავების სამყაროა.

## ღ ა ს კ ვ ე ა.

ღარმოს თოვლიან რაიონში საკვლევეო მუშაობა სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე გაგრძელდა. ბელიაევის ყინვარის შემდეგ ჩვენ ვავილოვის სახელობის ყინვარს, ვესტუმრეთ რომელთაც მივედით ღარმოს მთის გრნადიოზული ზღუდის ძირში და აქ საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში. რომ დასავლეთის მხრიდან ამ მთის მწვერვალზე ასვლის შესახებ გეგმების შედგენაც კი არ შეიძლება.

მთა ღარმო მართლაც ბუნების იშვიათი ძეგლია. 7500 მეტრიანი სიმაღლის გარდა, მასზე ასულას აძნელებს აგრეთვე ის ტექნიკური სირთულე, რომელიც ღარმოს ახასიათებს. ამ მხრივ იგი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ევერესტი (8840 მტ.) გაივლის ათეული წლები, სანამ ადამიანი შეძლებს უხიფათოდ ღარმოს მწვერვალზე ასვლას.

ვავილოვის ყინვარის შემდეგ, ჩვენ ხელმეორედ მოგვიხდა პულკოვის და შიკალსკის უღელტეხილისაკენ მოგზაურობა, ვინაიდან ამხ. დოროფევეს სჭირდებოდა ეს უღელტეხილები ფოტო-თეოდოლიტური გადაღების საწარმოებლად და ეძებდა უადვილეს გზებს. მისაღწევად.

27 სექტემბერს დაიძრა ფაშემოარის ბანაკიდან ჩვენი მცირე ქარავანი. პამირის მკაცრი შემოდგომა კვალდაკვალ მოგვდევდა გზაში: თოვლი, ცივი ქარი და ბნელი ღრუბლებით.

ბუნება ხამთრის ძილისათვის ემზადებოდა; ყირღიზელებისაგან მიტოვებულ იალღებზე არაერთარი სულდგმული არ ჩანდა, თვით სღურებიც კი, ყინვის გამო, სოროებში ჩამალულიყვნენ.

2 ოქტომბერს ცხენებით ვაჭტოვებთ მუქ-სუ. საღლაა მისი. მრისხანება! მუქ-სუს მეოთხედი ძლივსა დარჩენილა. მთებში ყინულის დნობა იმდენად შეძცივებულია, რომ პამირის უდიდესი მდინარე, რომელიც ქვემო ნაწილში მგზავრებისათვის სავსებით დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენდა, ახლა ისეთია, რომ ზედ ფეხით გასვლაც კი შესაძლებელია.

დარაუთ-ყურღანში (ალაის ველი) მივატოვეთ წინანდელი მიმართულება და თენგიზ-ბაის უღელტეხილისაკენ გავემართეთ.

თენგიზ-ბაი ზღვის დონიდან 3700 მეტრის სიმაღლეზეა ამართული. ამ უღელტეხილიდან ჩვენ უკანასკნელად შევხედეთ ტრანს-ალაის მარად-თოვლიან გოლიათებს.

თენგიზ-ბაიდან გზა მდ. ისფაირამის ხეობაში ჩადის, ეს ხეობა ჩვენს დარღილის ხეობას წააგავს.

12 ოქტომბერს ჩვენ წინ აღიშართა „სულეიმანის ტახტი“. პამირის ექსპედიცია დამთავრდა.

ორიოდე სიტყვა ამ ექსპედიციის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შესახებ.

დარვაზის და პეტრე დიდის ქედის ექსპედიციამ, ამხ. ნ. ვ. კრილენკოს და პროფ. დ. ი. შჩერებაკოვის ხელმძღვანელობით, შემდეგი საკითხები გადაწყვიტა:

1) მოსპო ღარმოს კვანძის „თეთრი ლაქა“ რუკაზე... ამხ. ივ. დოროფეევის ფოტო-თეოდოლიტანი გადაღების მეოხეობით ამ რაიონის მთავარმა მწვერვალებმა და ყინვარებმა სათანადო ადგილი დაიკავეს რუკებზე.

2) შეადგინა მდ. ხინგოუს სამი შენაკადის: საღრუნის, ღარმოს და ბოხუდის ხეობათა გეოლოგიური კრილები.

3) აწარმოვა იმავე ხეობებში მადნეულის ძიება. შედეგები ჯერჯერობით არაა გამოქვეყნებული.

რაც შეეხება მოსავლელთა ჯგუფის მიღწევებს, აქ უნდა აღინიშნოს პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული სამი უღელტეხილის აღმოჩენა:

1) ვანჩ-დარას მარცხენა შენაკადიდან ვანჩის ხეობაში, დაახლოებით 5300 მ. სიმაღლე, რომლითაც, ბელიაევის თქმით, 1916 წელს ორ თაჯიკს გადაჰვლია; 2) ვანჩ-დარას საწყისი თოვლიან ველიდან—შიკალსკის ყინვარზე, 5400 მეტრის სიმაღლე. 3) ვავილოვის ყინვარიდან—ბივაკის ყინვარზე, ღარმოს მთის ჩრდილოეთით მდებარე ჩაღრმავებით, 5500 მ. სიმაღლე.

არამიზანშეწონილად შედგენილი გეგმის გამო, სრულიად უსარგებლოდ დაიხარჯა მთასვლელთა ჯგუფის ენერჯის უდიდესი ნაწილი. ამავე დროს ღარმოს რაიონში დარჩა კიდევ რამდენიმე კუთხე, რომელთა გამოკვლევა ექსპედიციისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო. ასეთია,



შავ., ყინვარი, რომელიც ვავილოვის და შიკალსკის ყინვარებს შორისაა მოქცეული და რომლის სათავეებში უნდა მდებარეობდეს 6090 მეტრის სიმაღლის უღელტეხილი (ფინსტერვალდერის რუკა). შესაძლებელია, რომ ამავე ყინვარიდან აღმოჩნდეს ჭა ღარმოს მწვერვალისაქენ. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ შეტანილი წინადადების მიუხედავად, ამ მიმართულებით რეკონსტრუქცია არ მომხდარა. არანაკლებ საყურადღებოა ღარმოს რაიონის ჩრდილო კუთხე, სადაც ერთმანეთს უახლოვდებიან მუშკეტოვ-ფორთამ-ბეკის, ბელიაევის და მცირე თანიმასის ყინვართა სათავეები. ამრიგად, ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წამოიჭრა ბელიაევის და ბესედინის 1916 წლის მოგზაურობის შემდეგ, დღევანდლამდის გადაუწყვეტიელი რჩება.

# შ ი ნ ა უ რ ს ი.

გვრ.

1. წინასიტყვაობა . . . . .	3
2. საბჭოთა პამირი . . . . .	4
3. პამირის მოსახლეობა . . . . .	6
4. პამირის კვლევის ისტორიიდან . . . . .	9
5. „თაჯიკისტანის კომპლექსური ექსპედიცია“ . . . . .	12
6. უზბეკისტანში . . . . .	14
7. ქარავენების დიდი გზით . . . . .	20
8. თაჯიკისტანის ბილიკებზე . . . . .	26
9. ღარმოს კვანძი . . . . .	34
10. ზევეების სამყარო . . . . .	40
11. დასკვნა . . . . .	49

අංක 80 පටු

91

2 341

